# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№60-61 (9891-9892) 2025 წლის 28 აპრილი, ორშაბათი


შალვა პაპუაშვილი:

## ის, რაც შეეფერება იუპიტერს, არ შეეფერება ხარს!





## რიში აქეთ, რიში იქით... სჯულის მადლმა დაგილალეთ!!!

② 

„დილით თვითონ მუშაობდა გამჭვირვალობის კანონზე, საღამოს კი ჩვენ თითს გვიქნევდა, რომ იგივე კანონი არ მიგვეღო“

## მორიგი კრახი ოპოზიციაში



③

ზურაბიშვილის ჯერ არშემდგარი „წინააღმდეგობის პლატფორმა“ დაშლის პირასაა

## უკრაინას ისე ჭრიან და კერავენ, როგორც მოესურვებათ...



იხ. 3 გვ.

## ვის შეხვდება „უკრაინული ქონის“ მსუყე ნაჭერი?

## ქართველი და ოსი თედიაშვილები ძმები არიან!



იხ. 6 გვ.

ჩვენი ოჯახის უროლოგი



იხ. 7 გვ.

## თამბაქოს ბოლში „გახვეული“ საფრთხეები, „ტიფლისის ტოპრაკი“ და სხვა



იხ. 10 გვ.

## სამხედრო ალიანსი სერბეთსა და უნგრეთს შორის

## დაიწყება თუ არა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ომი?

## რამდენად გავლენიანია რომის პაპი და კათოლიკური ეკლესია მსოფლიოში?

ვინ გახდება ახალი პაპი. მაისში ვატიკანში კონკლავი შეიკრიბება –100-ზე მეტი კარდინალი გადაწყვეტს, ვინ გახდება შემდეგი პაპი. თეორიულად, რომის კათოლიკურ ეკლესიაში მონათლული ნებისმიერი მამაკაცი შეიძლება გახდეს პაპი. თუმცა, 1378 წლიდან მხოლოდ კარდინალები ირჩევენ პონტიფებად (და კარდინალებს, თავის მხრივ, ირჩევს ამჟამინდელი პაპი). ასევე, პაპი არ უნდა იყოს ძალიან ახალგაზრდა და არც მოხუცი. ბოლო 200 წლის განმავლობაში, მხოლოდ ოთხი პაპი იყო 60 წლამდე ასაკის მათი არჩევის დროს.



იხ. 4 გვ.

## მეგრელთა საქმე

⑧ ⑨



WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# ის, რაც შეეფერება იუპიტერს, არ შეეფერება ხარს!

**შალვა პაპუაშვილი:**



**გვიხარია, რომ აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ არა მხოლოდ ამხილა მავნე პრაქტიკა, არამედ თავადაც დაიწყო რისკების დაგლევა, რომ უცხოურ გავლენას სჭირდება გამჭვირვალობა,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** განაცხადა. **პაპუაშვილი ამერიკულ უნივერსიტეტებში უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ დონალდ ტრამპის აღმასრულებელ ბრძანებას გამოეხმაურა.**

**„ბრძენი ხალხი იყვნენ რომაელები და მათი გამონათქვამები არაერთხელ გამიმეორებია: „ის, რაც შეეფერება იუპიტერს, არ შეეფერება ხარს“. რა ვქნათ, ასე არის აწყობილი გეოპოლიტიკა, დიდპატარაობა აქაც არის. ის, რაც თავისთვის უნდა ზოგიერთს, სხვისთვის არ ემეტება. ასე არ იმეტებდნენ ჩვენთვის რაღაცებს ხან მოსკოვი, ხან სხვა დედაქალაქები, მაგრამ ჩვენ ჩვენს თავს უნდა მივხედოთ. ამ წნეხსაც ხომ გავუძელით მაშინ. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ იმავე დასახელებით არის, უცხოური გავლენის გამჭვირვალობა ჰქვია – ამ შემთხვევაში სპეციფიკურად უმაღლეს დაწესებულებებში. ტერმინოლოგიურადაც კი იგივეა, რაც ჩვენთან მოქმედებს, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი. 2023 წელს ამ ქართულ კანონს პირველად „რუსული კანონი“ დაარქვა ბაიდენის ადმინისტრაციის ელჩმა კელი დეგნანმა.**

**მან თქვა პირველად, მან მოიგონა ეს ტერმინი და ახლა უკვე ახალი ადმინისტრაციის მხრიდან ვიცით, როგორ მოქმედებს ეს სქემები, როგორ ერთვებოდა ამაში USAID-ი, NED-ი, სხვა დამფინანსებლები, როგორ აძლევენ დირექტივებს თავიანთ დაფინანსებულ „ენჯეოებს“, რათა ძირი გამოუთხარონ სხვა ქვეყნებში დემოკრატიას, როგორ აკონტროლებენ მედიას.**

**სხვათა შორის, გუშინაც გავრცელდა ინფორმაცია, ამერიკული ორგანიზაცია იყო „ინტერნიუსი“, რომლის მეშვეობითაც ათასობით მედია იყო კონტროლის ქვეშ, რათა გაეტარებინა ის პროპაგანდისტული ხაზი, რომელიც მოდიოდა დამფინანსებლისგან. ასე რომ, თავის დროზე ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა შექმნა ყალბი პროპაგანდისტული ხაზი. მას უყვარდა ხოლმე თქმა, სპეცსამსახურების სახელმძღვანელოდან არისო.**

**ზუსტადაც რომ სპეცსამსახურების სახელმძღვანელოდან ამოკითხულ სცენარს ჰგავდა ის ჰიბრიდული ომის ტაქტიკები, რაც 2023 წელს ვიხილეთ. აბსოლუტურად ყალბი ბრალდებების სათავე იყო აშშ-ის მაშინდელი ელჩი, რომელმაც ჯერ კანონპროექტის სტიგმატიზება მოახდინა, შემდეგ USAID-ის თუ სხვა ასეთი, როგორც დღეს ამერიკის ხელისუფლება უწოდებს, თაღლითი ორგანიზაციების დაფინანსებით ძალადობრივი თავდასხმა იყო პარლამენტზე.**



**გახსოვთ, მაშინ პირველად საქართველოს ისტორიაში „მოლოტოვის კოქტეილი“ ესროლეს ადამიანს და ცოცხლად წვავდნენ პოლიციელს. 2023 წლიდან გავიდა ორი წელი და არცერთ ხმამაღლა მოსაუბრე დიპლომატს არ დაუგმია „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლა, პირიქით. გრიგორიადისი, ადამიანი, რომელმაც ეს დანაშაული ჩაიდინა და რომელიც ადამიანს წვავდა ცოცხლად, ლამის გმირად გამოგვიცხადეს. შეგახსენებთ, ევროკავშირის, EED-ის დაფინანსებით ორგანიზაცია „სირცხვილია“, გარდა იმისა, რომ ამ კრიმინალს რაცხავდა გმირად, ასევე „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლას აცხადებდა, როგორც პოლიტიკური ბრძოლის მისაღებ ინსტრუმენტს. ეს ფინანსდებოდა ევროკავშირის ბიუჯეტიდან.**

**არათუ ვინმემ წუხილი გამოთქვა, ან დაგმო პოლიციელზე თავდასხმა, ან ბოდიში მოგვიხადა, რომ ამას აფინანსებდა, პირიქით. ამის შედეგი არის, რომ 2023 წელს „მოლოტოვის კოქტეილი“ საქართველოს ისტორიაში პირველად გავარდა მიტინგებზე, რომლებიც რადიკალური ოპოზიციისა და „ენჯეოების“ მხრიდან იყო ორგანიზებული. პროევროპულს ეძახიან და ამ „პროევროპულ მიტინგზე“ პირველად ისტორიაში რომ გავარდება „მოლოტოვის კოქტეილი“, ხომ უნდა დაფიქრდეს ის, ვისაც ევროკავშირის პასპორტი უდევს ჯიბეში, ქართველი ხალხის თვალში რა წარმოდგენას ქმნის ევროკავშირსა და პროევროპულობაზე, „მოლოტოვის კოქტეილებს“ რომ უთანაბრებენ ევროპულ ღირებულებებს.**

**ზუსტად ამ არდაგმობის შედეგი იყო ის, რომ ერთი „მოლოტოვის კოქტეილი“ შარშან, დეკემბერში იქცა უკვე ათ „მოლოტოვის კოქტეილად“. ეს ქმედებები არ დაუგმია არცერთ ხმამაღლა მოსაუბრე დიპლომატს, რომლებიც ქართველი პოლიტიკოსებივით ლამის ყოველდღიურ საკითხებს ეხმიანებიან. იცით, რატომ? შემდეგში ერთი „მოლოტოვის კოქტეილი“ რომ გახდეს 30. შეგახსენებთ, რომ როგორც მაშინ დაშავდნენ პოლიციელები, ამ ჯერზეც დაშავდნენ, ერთმა პოლიციელმა დაკარგა მხედველობა და ამ ხმამაღლა მოსაუბრე რომელიმე დიპლომატმა არც კი იკადრა, მოენახულებინა ეს პოლიციელი ან წუხილი გამოეთქვა.**

**ეს აქციები ორგანიზებული იყო მათ მიერ დაფინანსებული ადამიანებისგან. ჩართული იყვნენ ადამიანები, რომლებიც მათგან ხელფასს იღებდნენ. ერთი წუხილიც კი არ გამოთქვეს ამასთან დაკავშირებით. ამიტომ ვფიქრობ, ამ მხრივაც ყველაფერი გასაგებია. გვიხარია, რომ ახალმა ადმინისტრაციამ არა მხოლოდ ამხილა და აღიარა მავნე პრაქტიკა, რომლის გამოყენებითაც ამერიკული ფული იხარჯებოდა სხვა ქვეყნებში სხვისი ძირის გამოთხრისთვის, არამედ თავადაც იმ რისკების დაზღვევა დაიწყო, რაზეც ჩვენ, ამდენი წელია, ვსაუბრობთ, რომ უცხოურ გავლენას სჭირდება გამჭვირვალობა“,** – განაცხადა **პაპუაშვილმა.**

როგორც პაპუაშვილმა აღნიშნა, ზოგიერთმა დიპლომატმა თუ უცხოელმა პოლიტიკოსმა ბოდიში უნდა მოუხადოს ქართველ ხალხს, რომ „ყალბი პროპაგანდა იყო წარმოებული საქართველოს წინააღმდეგ“.

**„ტრამპმა როგორც თქვა, რომ ქალი ქალია და კაცი – კაცი, წერტილი დაუსვა მთელ პროპაგანდისტულ ხაზს, რომელსაც წლები აშენებდნენ, რომ სქესი არჩევითია და გემოვნებაზეა დამოკიდებული, დარწმუნებული ვარ, ახლა ამ აქტით, რომ უცხოური გავლენის გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია, მათ შორის ამ შეფასებებით, რომ დასამალი თუ არაფერი გაქვს, რატომ არ ასაჯაროებ, ერთი ერთში იმეორებენ ჩვენს მიდგომებს. ვფიქრობ, ამით ყველაფერს წერტილი დაესვა. ახლა გამოვიდნენ ისინი, რომლებმაც „მოლოტოვის კოქტეილები“, მაშხალები დატენეს, ისროლეს და ამასთან დაკავშირებით თავისი განმარტებები თქვან. მგონი, ზოგიერთმა დიპლომატმა თუ უცხოელმა პოლიტიკოსმა ბოდიშიც უნდა მოუხადოს ქართველ ხალხს, რომ ასეთი ყალბი პროპაგანდა იყო წარმოებული საქართველოს წინააღმდეგ“,** – აღნიშნა **პაპუაშვილმა.**

**ცნობისთვის,** აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ამერიკულ უნივერსიტეტებში უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ აღმასრულებელ ბრძანებას ხელი მოაწერა. ბრძანების მიხედვით, აშშ-ის განათლების მდივანმა უნდა უზრუნველყოს ამერიკელი ხალხისთვის უმაღლესი განათლების დაწესებულებებში უცხოური დაფინანსების შესახებ ინფორმაციაზე უკეთესი წვდომა, უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა უნივერსიტეტებს მოეთხოვოთ, გაამჟღავნონ უფრო კონკრეტული დეტალები უცხოური დაფინანსების შესახებ, მათ შორის, თანხების რეალური წყარო და მიზანი.

---



# რიში აქეთ, რიში იქით... სჯულის მადლმა დაგვიღალეთ!!!



## „დილით თვითონ მუშაობდა გამჭვირვალობის კანონზე, საღამოს კი ჩვენ თითს გვიქნევდა, რომ იგივე კანონი არ მიგვეღო“

**აშშ-ს პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ბრძანებას გამჭვირვალობის დამატებით სტანდარტებზე და მის კიდევ უფრო გამკაცრებაზე, სენატორი ჯიმ რიში მიესალმება, თუმცა საქართველოში „გამჭვირვალობის შესახებ კანონის“ მიღებას მკაცრად აკრიტიკებდა და კანონის დამტკიცების დღეს დაწერა: „ქართველების 80%-ს, ვისაც ევროკავშირში გაწევრიანება სურს, ხელისუფლებამ სახეში სილა გააწნა“. საქართველოში მიღებული კანონიდან თითქმის 1 წლის შემდეგ რიშის პოზიცია რადიკალურად შეიცვალა და ის ახლა საკუთარ ქვეყანაში ახალი რეგულაციის ამოქმედებას ემხრობა.**

ამერიკის 47-ე პრეზიდენტის მორიგი ბრძანება შტატების უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებს გამჭვირვალობის დამატებით სტანდარტებს უწესებს. აღმასრულებელი ბრძანება ამერიკულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ავალდებულებს, უცხოური დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროები გაასაჯაროონ, გაამჟღავნონ კონკრეტული დეტალები, უცხოური დაფინანსების რეალური წყარო და მიზნები. დონალდ ტრამპი განმარტავს, რომ მისი ადმინისტრაციის პოლიტიკაა, დასრულდეს უცხოური ფონდების ირგვლივ არსებული საიდუმლოება.

მმართველი პარტია **ჯიმ რიშის** შეცვლილ მიდგომას ამერიკელი სენატორის ორმაგ სტანდარტს უკავშირებს. დეპუტატების განცხადებით, მინიმუმ, არამეგობრული დამოკიდებულებაა, როცა უცხოურ დაფინანსების გამჭვირვალობას ამერიკისთვის იწონებ, ხოლო საქართველოს შემთხვევაში ეწინააღმდეგები.

**„თუ გამჭვირვალობა არის ის აქტუალური თემა, რომელსაც მიყოლა სჭირდება და თანხების გამჭვირვალობა პრიორიტეტია, ეს საჭიროა ქვეყნისთვის და ეს სახელმწიფოებრივი აზროვნებაა აშშ-ში, როგორ შეიძლება საწინააღმდეგო იყოს საქართველოში?!**

**ჩემი აზრით, ქართველს, რომელსაც ეუბნებიან, რომ ის, რაც ჩემს ქვეყანაში არის აუცილებლობა, ის დაუშვებელია შენს ქვეყანაში სახელმწიფოებრივად, ეს ნებისმიერი ქართველის შეურაცხყოფაა“,** – აღნიშნა **მამუკა მდინარაძემ.**

მისივე თქმით, არგუმენტების ნაკლებობა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის საქართველოში დაუშვებელი გამჭვირვალობა, იმაშიც გამოიხატება, რომ ამ ყველაფერს „რუსულს“ უწოდებენ. მდინარაძე სვამს კითხვას, **აშშ-ში სახელმწიფოებრივ საკითხად მიჩნეული თანხების გამჭვირვალობა საქართველოში რატომ არის რუსული საქციელი?**

ჯიმ რიშის განსხვავებული დამოკიდებულების ახსნას ოპოზიცია სხვადასხვა არგუმენტით ცდილობს. ხელისუფლების ოპონენტები ამბობენ, რომ ამერიკული და ქართული კანონების შედარება არასწორია, რადგან ინსტიტუციური მოწყობა ამ სახელმწიფოებში სხვადასხვაა.

იურისტი **ზაზა მარიდაშვილი** აცხადებს, რომ რიშის ორმაგი სტანდარტი ნამდვილად სამწუხაროა და ის დამოკიდებულება, რაც მას საქართველოსთან აქვს, სამარცხვინოა. იურისტი for.ge-თან ამბობს, რომ მისთვის და მისნაირი სენატორებისთვის საქართველო ვასალ ქვეყნად არის მიჩნეული, რომელსაც თითის ქნევით უნდა ელაპარაკონ.

**„ჯიმ რიში ამბობს, რომ ამერიკის ელიტარული სასწავლებლების დაფინანსება გამჭვირვალე უნდა იყოს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მისი კურსდამთავრებულები ამერიკის მაღალ თანამდებობებზე ხვდებიან. ანუ გამოდის, რომ ამერიკელები ჯიმ რიშის სახით ფიქრობენ, ახალგაზრდები იქიდან მოწამლული ტვინით არ უნდა გამოვიდნენ, მის განათლებაში ვიღაცის ხელი არ უნდა ერიოს და „დავერბორკებული“ რომელიმე უცხო ქვეყნის მხრიდან არ უნდა იყოს. კი ბატონო, ვეთანხმები და მივიჩნევ, რომ ეს ნამდვილად სწორი მიდგომაა. მეორე თემა არის ის, რომ ის ასევე განკარგულებას ეთანხმება, რომელიც უცხო ძალების არჩევნებში ჩარევის საფრთხეზე საუბრობს და ამ რისკებისგან ქვეყანამ თავი უნდა დაიცვას. ჯიმ რიში ამბობს, რომ ის ამ კანონზე დიდი ხანია რაც მუშაობს. მაშ, რა გამოდის, ეს კაცი საქართველოს ხელისუფლებას უკრძალავს, ეუბნება, რომ უფლება არა აქვთ გამჭვირვალობის შესახებ კანონი მიიღონ, ხოლო თავის ქვეყანაში ეს პრობლემა არ არის? უფრო მეტიც, თავად ამაზე დიდი მონდომებით მუშაობს. ეს ხომ ადასტურებს კიდევ ერთხელ იმას, რომ რაღაცა სტანდარტები, რომელიც რიშს, შაჰინს და მათნაირ სენატორებს აქვთ და ჩვენ გვიწესებენ, არ უნდა ავიტა-**

# უკრაინას ისე ჭრიან და კერავენ, როგორც მოესურვებათ...



# ვის შეხვდება „უკრაინული ქონის“ მსუყე ნაჭერი?

## აშშ-ის მიერ რუსეთ-უკრაინას შორის სამშვიდობო პროცესისთვის მომზადებული წინადადებების ჩამონათვალი

„როიტერი“ პარიზში რუსეთ-უკრაინას შორის სამშვიდობო პროცესისთვის აშშ-ის მიერ წარდგენილი წინადადებების სრულ ჩამონათვალს აქვეყნებს, რომელიც ვაშინგტონმა ევროპელ მაღალჩინოსნებს 17 აპრილს გააცნო.

ცეცხლის შეწყვეტა – ცეცხლის მუდმივი შეწყვეტა, ორივე მხარე დაუყოვნებლივ დაიწყებს მოლაპარაკებებს შეთანხმების ტექნიკურ განხორციელებაზე;

უკრაინის უსაფრთხოების გარანტიები – უკრაინა იღებს უსაფრთხოების საიმედო გარანტიებს. გარანტორი სახელმწიფოები შექმნიან სპეციალურ ჯგუფს ევროპული და არაევროპული სახელმწიფოების მონაწილეობით, უკრაინა ნატოში გაწევრიანებას არ შეეცდება. უკრაინას შეეძლება ევროკავშირისკენ სწრაფვა;

ტერიტორიები – აშშ დე იურედ აღიარებს რუსეთის კონტროლს ყირიმზე, აშშ დე ფაქტოდ აღიარებს რუსეთის კონტროლს ლუგანსკის ოლქზე, აშშ დე ფაქტოდ აღიარებს რუსეთის მიერ კონტროლირებადი ზაპოროჟიეს, დონეცკისა და ხერსონის ოლქების ნაწილებს. უკრაინა დაიბრუნებს ტერიტორიებს ხარკოვის ოლქში, უკრაინა დაიბრუნებს კონტროლს ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე, თუმცა სადგურს გააკონტროლებს და მართავს აშშ, ელექტროენერგია კი ორივე მხარეს გაუნაწილდება. უკრაინა დაუბრკოლებლად ისარგებლებს დნიპრზე გასასვლელით და გააკონტროლებს კინბურნის ცელას;

ეკონომიკა – აშშ და უკრაინა სასარგებლო წიაღისეულის რესურსების სფეროში ეკონომიკურ თანამშრომლობას განახორციელებენ, უკრაინას სრულად აღადგენენ და ფინანსურ კომპენსაციას მიიღებს. რუსეთის წინააღმდეგ ამ კონფლიქტის შედეგად 2014 წლიდან დაწესებული სანქციები მოიხსნება, აშშ-რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობა განახლდება ენერგეტიკისა და სხვა სამრეწველო სექტორებში.

## უკრაინელმა და ევროპელმა მაღალჩინოსნებმა კი რუსეთ-უკრაინის სამშვიდობო პროცესისთვის აშშ-ის წინადადებების საპასუხო ვარიანტი მოამზადეს...

საპასუხო წინადადებები უკრაინელი და ევროპელი მაღალჩინოსნების მიერ ლონდონში 23 აპრილს გამართულ შეხვედრაზე მომზადდა.

ცეცხლის შეწყვეტა – სრული და უპირობო ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულების აღება ცაში, ხმელეთსა და ზღვაში. ორივე მხარე დაუყოვნებლივ დაიწყებს მოლაპარაკებებს ტექნიკურ განხორციელებაზე, აშშ-სა და ევროპის ქვეყნების მონაწილეობით. ამის პარალელურად მიმდინარეობს სრული სამშვიდობო შეთანხმების დღის წესრიგისა და მოდალობების მომზადება. ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგი, რომელსაც ხელმძღვანელობს აშშ და მხარს უჭერს მესამე ქვეყნები. რუსეთმა უპირობოდ უნდა დააბრუნოს ყველა დეპორტირებული და უკანონოდ დევნილი უკრაინელი ბავშვი. გაიცვლება ყველა სამხედრო ტყვე (პრინციპი „ყველა ყველაზე“). რუსეთმა უნდა გაათავისუფლოს ყველა სამოქალაქო პატიმარი;

უკრაინის უსაფრთხოების გარანტიები – უკრაინა იღებს უსაფრთხოების მტკიცე გარანტიებს, მათ შორის აშშ-ისგან (მე-5 მუხლის მსგავსი შეთანხმება), მაშინ როდესაც მოკავშირეებს შორის არ არსებობს კონსენსუსი ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. უკრაინის თავდაცვის ძალებზე არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. გარანტორი სახელმწიფოები ქმნიან სპეციალურ ჯგუფს ევროპული ქვეყნებისა და არაევროპული მსურველი ქვეყნებიდან. არანაირი შეზღუდვა არ იქნება მეგობრული უცხოური ძალების უკრაინის ტერიტორიაზე ყოფნაზე, იარაღსა და ოპერაციებზე. უკრაინა მიისწრაფვის ევროკავშირში გაწევრიანებისკენ;

ტერიტორია – ტერიტორიული საკითხები განიხილება და გადაწყდება ცეცხლის სრული და უპირობო შეწყვეტის შემდეგ; ტერიტორიული მოლაპარაკებები კონტროლის ხაზის საფუძველზე იწყება; უკრაინა აშშ-ის ჩართულობით იბრუნებს კონტროლს ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე, ასევე კახოვკის კაშხალზე. უკრაინას აქვს შეუფერხებელი წვდომა მდინარე დნეპრზე და კონტროლი კინბერნის ცელაზე;

ეკონომიკა – აშშ და უკრაინა ეკონომიკური თანამშრომლობის/მინერალების შესახებ შეთანხმებას ასრულებენ. მოხდება უკრაინის სრულად აღდგენა და ფინანსური კომპენსაცია, მათ შორის რუსეთის სუვერენული აქტივების მეშვეობით, რომლებიც გაყინული დარჩება მანამ, სანამ რუსეთი უკრაინისთვის მიყენებულ ზარალს არ აანაზღაურებს.

2014 წლიდან რუსეთის წინააღმდეგ აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციები, შესაძლოა, თანდათანობით შემსუბუქდეს მდგრადი მშვიდობის მიღწევის შემდეგ და განახლდეს სამშვიდობო შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში.

---

**ცოთ. უნდა ვიფიქროთ მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე“, –** ამბობს იურისტი.

მისივე თქმით, შევხედოთ მათ ცინიკურ დამოკიდებულებას ქართველების მიმართ. დილით თვითონ მუშაობდა გამჭვირვალობის კანონზე, საღამოს კი ჩვენ გვიტრიალდებოდა და თითს გვიქნევდა, რომ იგივე კანონი არ მიგვეღო.

**„პირდაპირ გვეუბნება ეს კაცი, რომ თქვენ არ გაქვთ უფლება ამ კანონზე მუშაობის, მაგრამ ამერიკაში არ შეიძლება ვინმე „დავერბორკებული“ იყოს, თუმცა თქვენთან ყველა ეგეთი უნდა იყოს. ანუ საქართველოს არაფრის უფლება არა აქვს, მხოლოდ ვალდებულებები აქვს და ისიც ამათთან. ეს ხომ სამწუხარო ფაქტია და საზოგადოებისთვის ყველაფერი ხომ ხელისგულზე დევს. აქ მთავარი არის ადამიანის ღირსება. როცა შენს ქვეყანას ვიღაც ასე ექცევა, შენს ხელისუფლებას თითს უქნევს იმაზე, რასაც თავად აკეთებს, როგორ შეიძლება ასეთი ადამიანის უპირობოდ გჯეროდეს, მისი სიტყვა იყოს მნიშვნელოვანი და ამტკიცებდე, რომ ჩვენთვის სიკეთე უნდა? ოპოზიციას, რომელიც მხოლოდ ქვეყნის მავნებლობით არის დაკავებული, ასეთი ხალხის იმედი აქვს. ხალხის, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ქართველებს არაფრის უფლება არა აქვთ, საკუთარი კანონების და ქვეყნის მართვის უფლებაც კი არ გააჩნიათ. მე მგონია, რომ ქართველები ღირსეული და ამაყი ხალხი ვართ, ამიტომ ასეთი ადამიანების სიტყვას უპირობოდ არ მიიღებენ, რადგან მათ სიტყვას ჩალის ფასი აქვს“,** – ამბობს **მარიდაშვილი.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

# მორიგი კრახი ოპოზიციაში



## ზურაბიშვილის ჯერ არშემდგარი „წინააღმდეგობის პლატფორმა“ დაშლის პირასაა



**საქართველოს მეხუთე პრეზიდენტს, სალომე ზურაბიშვილს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ განუდგა და მისი „წინააღმდეგობის პლატფორმა“ დემონსტრაციულად დატოვა. ოპოზიციონერი ლიდერები ამბობენ, რომ სალომე ზურაბიშვილი საზოგადოებას სიახლეს ვერ სთავაზობს. ამასთან, გვახსოვს, რომ სალომე ზურაბიშვილმა, მისი პრეზიდენტობის პერიოდში, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არ შეიწყალა, რამაც ასევე „ნაცმოძრაობის“ ლიდერების განაწყენება გამოიწვია.**

„ნაცმოძრაობის“ ზურაბიშვილისგან დისტანცირების ფონზე, ექსპრეზიდენტი 26 მაისის ღონისძიებას აანონსებს, რომელიც დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნება. მისი თქმით, ამ დღესთან დაკავშირებით „წინააღმდეგობის პლატფორმის“ ფარგლებში სპეციალური კომიტეტი შეიქმნება. მანამდე ცნობილი გახდა, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, 26 მაისის ღონისძიებები წელს რუსთაველის გამზირზე არ გაიმართება.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ჩვენთან ინტერვიუში აცხადებს, რომ **„ნაცმოძრაობამ“ თავის დროზე, ზურაბიშვილი იმპიჩმენტისგან იხსნა, თუმცა, სწორედ, ყოფილი პრეზიდენტის წყალობით მიიჩნევს დღეს დასავლეთი საპარლამენტო არჩევნებს არალეგიტიმურად, რაც ოპოზიციისთვის ერთგვარი „საჩუქარია“.**

იხ. 12 გვ.



# რამდენად გავლენიანია რომის პაპი და კათოლიკური ეკლესია მსოფლიოში?

**ვატიკანის უახლესი მონაცემებით, მსოფლიოში 1,4 მილიარდზე მეტი ადამიანი კათოლიციზმს აღიარებს. ეს გასაკვირიც არაა, მაგალითად, რომის პაპის ფრანცისკეს 2024 წლის აზიის ტურნეს დროს ხალხის არმია დახვდა – აღმოსავლეთ ტიმორის მოსახლეობის თითქმის ნახევარი ღია ცის ქვეშ გამართულ მესას დაესწრო.**

**ასეთი დიდი რაოდენობის ხალხის მოზიდვის და ენთუზიაზმის წარმოქმნის უნარი მხოლოდ ერთის მაჩვენებელია – რომის პაპისა და კათოლიკური ეკლესიის გავლენა მსოფლიოზე.**

**რომის პაპი ხელმძღვანელობს არა მხოლოდ კათოლიკეებს, არამედ ვატიკანის ქალაქს და მის მმართველ ორგანოს, წმინდა საყდარს. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, წმინდა საყდარი ითვლება სუვერენულ ერთეულად.**

**ანუ, ის არის საერთაშორისო ურთიერთობების ოფიციალური მონაწილე და აქვს სრული დიპლომატიური ურთიერთობა 184 ქვეყანასთან, ასევე ევროკავშირთან. პაპი, როგორც სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან სულიერ ლიდერად ითვლება.**

**წმინდა საყდარს აქვს მუდმივი დამკვირვებლის სტატუსი გაეროში. მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს ხმის მიცემის უფლება, მას შეუძლია დაესწროს შეხვედრებს და გამოიყენოს თავისი გავლენა დისკუსიების ფორმირებისთვის.**

მაგალითად, 2024 წელს წმინდა საყდარმა დაბლოკა ქალთა უფლებების განხილვა გაეროს კლიმატის სამიტზე გეი და ტრანსგენდერი ადამიანების შესახებ დაპირისპირების შემდეგ. ვატიკანი, საუდის არაბეთი, რუსეთი, ირანი და ეგვიპტე შეშფოთებულნი იყვნენ იმით, რომ ტექსტი შესაძლოა მოიცავდეს ტრანსგენდერ ქალებს და მოითხოვეს, რომ გეების მითითებები ამოეღოთ.

**პაპის ეფექტური დიპლომატიის კიდევ ერთი მაგალითი იყო 2014 წლის შეთანხმება შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის. მაშინდელმა პრეზიდენტებმა ბარაკ ობამამ და რაულ კასტრომ საჯაროდ მადლობა გადაუხადეს პაპ ფრანცისკეს დახმარებისთვის. პაპმა წერილები მისწერა ორივეს და გამართა საიდუმლო სამიტი ვატიკანში.**

**„ეკლესიის წვლილი დემოკრატიის განვითარებაში ბოლო 25 წლის განმავლობაში არის მისი უდიდესი მიღწევა“,** – ამბობს პროფესორი **დევიდ ჰოლენბახი** აშშ-ს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის რელიგიის, მშვიდობისა და მსოფლიო ურთიერთობების ცენტრიდან.

1960-იან წლებში ვატიკანის მეორე საბჭომ, რომელმაც მიმოიხილა მისი ძირითადი სწავლებები და მისი საქმიანობის მიმართულება, აიძულა ეკლესია მიეღო ადამიანის უფლებები და რელიგიური თავისუფლება, რაც პროფესორ ჰოლენბახის თქმით, **„მთავარი გარღვევა იყო“.**

პროფესორ ჰოლენბახის თქმით, რომის პაპ იოანე პავლე II-ის მოღვაწეობამ ხელი შეუწყო დემოკრატიის ჩამოყალიბებას პოლონეთში.

თუმცა, ეკლესიის გავლენა ევროპაში იკლებს. ბევრი ამტკიცებს, რომ მისი კონსერვატიული პოზიცია სოციალურ საკითხებზე, როგორიცაა გეების უფლებები, კონტრაცეფცია და აბორტი, არ შეესაბამება თანამედროვეობას. რომის პაპმა ფრანცისკემ უარი უთხრა ქალებს გარკვეული ლიდერული თანამდებობების დაკავებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკური ეკლესია რჩება მნიშვნელოვან ძალად ლათინურ ამერიკაში, ძალაუფლება, რომელსაც იგი ოდესღაც ფლობდა, შემცირდა. ეკლესიამ ოდესღაც ჩამოაყალიბა და დანერგა აბორტის შემზღუდავი კანონები მთელს რეგიონში, მაგრამ ბოლო 20 წლის განმავლობაში ურუგვაიმ, მექსიკამ, არგენტინამ და კოლუმბიამ აბორტი უფრო ხელმისაწვდომი გახადა, კათოლიკური სწავლების უგულებელყოფით.

**ზოგიერთი ანალიტიკოსი ვარაუდობს, კათოლიციზმი ხუთ წელიწადში შეწყვეტს ლიდერობას. ამის მიზეზი კი არის ის, რომ სასულიერო პირები სექსუალური ძალადობაში გამოავლინეს.**

უკვე ისმის კითხვა, თუ ვინ გახდება ახალი პაპი. მაისში ვატიკანში კონკლავი შეიკრიბება –100-ზე მეტი კარდინალი გადაწყვეტს, ვინ გახდება შემდეგი პაპი. თეორიულად, რომის კათოლიკურ ეკლესიაში მონათლული ნებისმიერი მამაკაცი შეიძლება გახდეს პაპი. თუმცა, 1378 წლიდან მხოლოდ კარდინალები ირჩევენ პონტიფებად (და კარდინალებს, თავის მხრივ, ირჩევს ამჟამინდელი პაპი). ასევე, პაპი არ უნდა იყოს ძალიან ახალგაზრდა და არც მოხუცი. ბოლო 200 წლის განმავლობაში, მხოლოდ ოთხი პაპი იყო 60 წლამდე ასაკის მათი არჩევის დროს, ხოლო მე-20 და 21-ე საუკუნეებში პონტიფიკოსის საშუალო ასაკი (კიდევ ერთხელ, არჩევის დროს) იყო 67,5 წელი.

### პიეტრო პაროლინი,

**70 წლის, იტალია:**

**ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი კარდინალი პიეტრო პაროლინია. ის ჩრდილოეთ იტალიიდანაა.** 2013 წლიდან ის ვატიკანის სახელმწიფო მდივნის პოსტს იკავებდა. ამ თანამდებობაზე ის ცდილობდა ვატიკანის ურთიერთობების დამყარებას ვიეტნამთან და ჩინეთთან. კარდინალ პაროლინის სახელი 2021 წელს 350 მილიონი ევროს მითვისების საქმესთან დაკავშირებითაც იყო ნახსენები, მაგრამ კარდინალისთვის ბრალი არ წაუყენებიათ.

### მატეო ზუპი,

**69 წლის, იტალია:**

**კიდევ ერთი იტალიელი, რომელიც მოიხსენიება, როგორც მომავალ პაპად, არის ბოლონიის არქიეპისკოპოსი მატეო ზუპი.** ის ლიბერალურია ერთნაირსქესიანთა ურთიერთობებისა და ზოგადად ლგბტქ+ თემის მიმართ და მხარს უჭერს პატიმართა უფლებებსა და სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია. 2022 წელს აირჩიეს იტალიის ეპისკოპოსთა კონფერენციის პრეზიდენტად.

### პიერბატისტა პიცაბალა,

**60 წლის, იტალია:**

**პიერბატისტა პიცაბალა არის ყველაზე ახალგაზრდა კარდინალი მათ შორის, ვისზეც მედია ფსონს დებს.** ის მხოლოდ 2023 წელს გახდა კარდინალი. მის სასარგებლოდ მეტყველებს მისი გამოცდილება ახლო აღმოსავლეთში: 2020 წლიდან პიცაბალა იერუსალიმის ლათინური პატრიარქის პოსტს იკავებდა. როდესაც ჰამასი თავს დაესხა ისრაელს, პიცაბალამ თავი მძევლად შესთავაზა გატაცებული ბავშვების სანაცვლოდ.

### პიტერ ერდო,

**72 წლის, უნგრეთი:**

**ბუდაპეშტის არქიეპისკოპოსი პიტერ ერდო ეკლესიის კონსერვატიული ფრთიდან პაპის ყველაზე პერსპექტიულ კანდიდატად ითვლება.**

ის ეწინააღმდეგება ერთნაირსქესიანთა ქორწინებას და განქორწინებული და ხელახლა დაქორწინებული კათოლიკეების ზიარებაზე დაშვებას.

ამბობენ, რომ უნგრელი კარდინალი პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის მხარდამჭერია. როდესაც 2015 წელს რომის პაპმა ფრანცისკემ ევროპის კათოლიკე მღვდლებს მოუწოდა, მიეღოთ ლტოლვილები, ერდომ თქვა, რომ ეს „ადამიანთა ვაჭრობის“ მსგავსი იქნებოდა. ერდო ორჯერ აირჩიეს ევროპის ეპისკოპოსთა კონფერენციების საბჭოს პრეზიდენტად, 2005 და 2011 წლებში. სწორედ ევროპელი კარდინალები შეადგენენ უმრავლესობას კონკლავში, რომლებიც აირჩევენ ახალ პაპს. ერდო საეკლესიო სამართლის ექსპერტია და ფლობს რამდენიმე ენას, მათ შორის რუსულს.

### ლუის ანტონიო ტეგლე,

**67 წლის, ფილიპინები:**

**მას უწოდებენ „აზიურ ფრანცისკეს“ და შეიძლება გახდეს პირველი პაპი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან – ისევე როგორც ფრანცისკე გახდა პირველი პონტიფიკოსი ლათინური ამერიკიდან.**

ტეგლე ერთ-ერთი კანდიდატი იყო ჯერ კიდევ 2013 წელს (როდესაც პაპი ფრანცისკე აირჩიეს), მაგრამ მაშინ ის ძალიან ახალგაზრდა იყო, ახლა კი 67 წლისაა.

### პიტერ თურქსონი,

**76 წლის, განა:**

**პირველი კარდინალი განადან პიტერ თურქსონი, ეკუთვნის რომის კათოლიკური ეკლესიის პროგრესულ ფრთას.**

ის იყო სამართლიანობისა და მშვიდობის პაპის საბჭოს პრეზიდენტი, ორგანო, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ სამართლიანობას, ადამიანის უფლებებსა და მშვიდობას. ამ როლში თურქსონი, სხვა საკითხებთან ერთად, დავოსის ეკონომიკურ ფორუმს დაესწრო და ისაუბრა კლიმატის კრიზისზე.

**BBC-დან თარგმნა**
**ქეთი გიორგაძემ**

## რომის პაპი ფრანცისკე სანტა მარია მაჯორეს ბაზილიკაში დაკრძალეს



**იგი საკუთარი ანდერძის თანახმად, სანტა მარია მაჯორეს ბაზილიკაში დაკრძალეს. ის 1903 წელს ლეო მე-13-ის დაკრძალვის შემდეგ პირველი პაპი გახდა, რომელიც ვატიკანის გარეთ დაკრძალეს. დაკრძალვის დღიდან ცხრადღიანი გლოვაა, რომლის განმავლობაშიც ყოველდღიურად აღევლინება მესა ფრანცისკეს სახელზე.**

**დაკრძალვა ვიწრო წრეში გაიმართა რამდენიმე კარდინალის, ასევე ფრანცისკეს პირადი ექიმის, მასიმილიანო სტრაპეტის მონაწილეობით.**

## მიხეილ ყაველაშვილი: პაპის გარდაცვალება დიდი დანაკარგია სრულიად ქრისტიანული სამყაროსთვის

**„ვატიკანში, წმინდა პეტრეს მოედანზე მსოფლიო ლიდერებთან ერთად პაპ ფრანცისკეს დაკრძალვის ცერემონიას დავესწარი.**

**იტალიაში საგარეო საქმეთა მინისტრ მაკა ბოჭორიშვილთან, მიტროპოლიტ გერასიმესა და პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძესთან ერთად ვიმყოფები. პაპ ფრანცისკეს გარდაცვალება დიდი დანაკარგია სრულიად ქრისტიანული სამყაროსთვის“,** – წერს საქართველოს პრეზიდენტი.

The American Conservative

# ვაშინგტონმა უნდა გაატაროს სტრატეგიული, ემპათიური ჩართულობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა საქართველოს მთავრობასთან

**თუ აშშ-ის სენატს სურს თავიდან აიცილოს უკრაინის მსგავსი კიდევ ერთი ტრაგიკული კრიზისი რუსეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე, მან უნდა შეწყვიტოს მოსკოვის მეზობლების წახალისება რუსეთის მიმართ არასაჭირო კონფრონტაციული ურთიერთობებისკენ, – წერს ამერიკული გამოცემა The American Conservative-ი.**

**„სამწუხაროდ, სწორედ ეს გააკეთა სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრთა უმეტესობამ გასულ თვეში, როდესაც მათ წინ წამოწიეს MEGOBARI AQTI“, – წერენ სტატიის ავტორები.**

სტატიაში ნათქვამია, რომ ეს კანონპროექტი წარმოადგენს ძალისხმევას, უბიძგოს საქართველოს რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების შეზღუდვისკენ და უკრაინის ომთან მიმართებით ტრანსატლანტიკური მიდგომის დაცვისკენ – მიუხედავად იმისა, რა შედეგები შეიძლება ამას მოჰყვეს საქართველოს ეკონომიკისა და უსაფრთხოებისთვის.

**„თუ ეს კანონპროექტი ძალაში შევა, რეალური შედეგი იქნება ის, რომ საქართველო უფრო ღრმა ურთიერთობებში ჩაერთვება არადასავლელ პარტნიორებთან, რაც სერიოზულად წინააღმდეგობაში მოვა ტრამპის ადმინისტრაციის ძალისხმევასთან – გადახედოს ამერიკის ვალდებულებებს ევროპაში და აღადგინოს სამუშაო ურთიერთობები რუსეთთან, რათა მოლაპარაკებების გზით მიაღწიოს გრძელვადიან მშვიდობას უკრაინაში“,** – ნათქვამია სტატიაში.

**„თუმცა, ის [კანონპროექტი] არ ჰპირდება საქართველოს დაცვას იმ შემთხვევაში, თუ რეკომენდებული პოლიტიკა ახალ ომამდე მიიყვანს რუსეთთან. უკიდურესად უპასუხისმგებლოა, როცა ცდილობ აიძულო სხვა ქვეყანა სიღრმისეულად სახიფათო ქმედებებზე, მაშინ, როცა არ გაქვს განზრახვა, გადაარჩინო ის შედეგებისგან“,** – აღნიშნავენ სტატიის ავტორები.

სტატიაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ქუინსის ინსტიტუტის პოლიტიკურ მიმოხილვის თანახმად, უკრაინის ომისა და რუსეთის მიერ საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის მხარდაჭერის შედეგად, თბილისი უკიდურესად მყიფე უსაფრთხოების გარემოს წინაშე დგას.

**სტატიის ავტორები ამტკიცებენ, რომ თუ ისეთი კანონპროექტი, როგორიცაა MEGOBARI AQTI, კანონად იქცევა, მას ექნება ღრმა ნეგატიური გავლენა ამერიკის და, დიდი ალბათობით, ევროპის ურთიერთობებზე საქართველოსთან.**

სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ „მიუხედავად იმისა, მოსწონს ეს აშშ-ს თუ არა, საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული და დამოკიდებულია რუსეთთან ვაჭრობაზე“.

**„უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობა რუსეთთან მიმართებაში გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება, სულ მცირე, 2008 წლიდან, როდესაც სააკაშვილის მთავრობამ განახორციელა ქმედებები სამხრეთ ოსეთის რეგიონში, რამაც ხელი შეუწყო რუსეთისა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის პირდაპირ კონფლიქტს. აშშ-მა და ევროპამ უნდა გააცნობიერონ, რამდენად უგუნური და უპასუხისმგებლოა იმ ქვეყნების წახალისება, რომლებიც რუსეთის საზღვრებთან მდებარეობენ, რომ ფაქტობრივად დაუპირისპირდნენ რუსეთს, მაშინ როცა დასავლეთს რეალურად არანაირი განზრახვა არ აქვს, დაიცვას ისინი შესაძლო შედეგებისგან. 2012 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პარტია „ქართული ოცნება“ პირდაპირი გზავნილით ცდილობს „მტკიცე და პრინციპული“ დიალოგის წარმართვას რუსეთის ხელისუფლებასთან, რადგან სწამს – და სამართლიანად - რომ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების და ამ დაპირისპირების მოსკოვის მხრიდან საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას რეალისტური სამხედრო გადაწყვეტა არ გააჩნია“,** – აღნიშნულია სტატიაში.

სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო კვლავ უჭერს მხარს კიევს საერთაშორისო ორგანიზაციებში და ჰუმანიტარულ დონეზე, საქართველოს მთავრობა უკრაინაში სრულმასშტაბური ომის დაწყების შემდეგ ძალიან ფრთხილ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას ატარებს.

**„თუ MEGOBARI AQTI კანონად იქცევა, ის, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დააშორებს საქართველოს მთავრობას აშშ-ისგან და შეაფერხებს ამერიკის შესაძლებლობას, სერიოზულად მოახდინოს გავლენა ადგილობრივ პროცესებზე იმ დროს, როცა ვაშინგტონი იწყებს ახალ პოლიტიკას რუსეთისა და მისი პოსტსაბჭოთა მეზობლების მიმართ.**

**ასეთი კანონმდებლობის ერთ-ერთი რისკი ის არის, რომ შიდა ქართული პოლიტიკური პროცესების მიმართ კონკრეტული მხარის არჩევით და ინდივიდების მიმართ სანქციების წახალისებით, აშშ უნებლიეთ ხელს შეუწყობს „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებას, გააღრმაოს ურთიერთობები სხვა, არადასავლელ პარტნიორებთან.**

**ვაშინგტონმა უნდა გაატაროს სტრატეგიული, ემპათიური ჩართულობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა საქართველოს მთავრობასთან. ცხადია, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში თბილისი აპირებს დივერსიფიკაციისა და რისკების შემცირების საგარეო პოლიტიკის გატარებას – რასაც ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ფართოდ უწოდებენ „მრავალვექტორულობას“.**

**სულ უფრო დაუცველ მსოფლიოში, რომ აღარაფერი ვთქვათ რეგიონზე, ასეთი პოლიტიკა საქართველოს პერსპექტივიდან აბსოლუტურად გონივრულია. იმის ნაცვლად, რომ შეეცადოს ამ ტენდენციის შეცვლას, აშშ-ს შეუძლია მიაღწიოს სტრატეგიულ სარგებელს და, რაც მთავარია, დადებითად იმოქმედოს ადამიანის უფლებების მდგომარეობასა და დემოკრატიის დონეზე საქართველოში ამ ქვეყნის მიმართ უფრო პრაქტიკული პოლიტიკის გატარებით“,** – ნათქვამია სტატიაში.




# საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განცხადება

**28 აპრილი 2025**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:**

| | |
|---|---|
| ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება | ვაკანსია |
| სპეციალობა | |
| ეკონომიკა | 1 |
| მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება | ვაკანსია |
| სპეციალობა | |
| მეცხოველეობა | 1 |

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერებათა დოქტორის, დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი აგრარული მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და კერძო ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლარად): სამეცნიერო ან აკადემიური საბჭოს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრის (წევრების), სახელმწიფო და კერძო ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების წარდგინება (დედანი, დაბეჭდილი სატიტულო ბლანკზე) სათანადო დასაბუთებით, დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და იმ დაწესებულების სველი ბეჭდით, სადაც იგი მუშაობს, კანდიდატის ავტობიოგრაფია, ფოტო 4X6 (2 ცალი), სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (დამოწმებული ნოტარიულად), მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები აღინიშნება ვარსკვლავით), დარგის სპეციალისტის მიერ კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება.

კანდიდატის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სამუშაო ადგილიდან საქართველოში მისი მოღვაწეობის დასადასტურებლად.

საბუთები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე (საჭიროების შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი) პირადად აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატთა მიერ.

საბუთები კანდიდატთა რეგისტრაციისათვის მიიღება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. განცხადებები მიიღება 2025 წლის 28 აპრილიდან 28 მაისის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ი. ჯავახიშვილის ქ. N51, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია – კანცელარია (ტელეფონი: 2 94 13 21). საბუთების მიღება იწარმოებს ყოველი სამუშაო დღის 11 საათიდან 17 საათამდე.

აღნიშნული განცხადება და კანდიდატის მონაცემები (CV) განთავსდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდზე (www.gaas.dsl.ge), რისთვისაც წარმოდგენილი უნდა იქნეს CV-ის და ფოტოს ელექტრონული ვერსიაც.

**შენიშვნა: დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში (ტელეფონი: 2 94 13 21).**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# დარბაზი ღირსეულებს აჯილდოებს

**ამას წინათ, თბილისში, სამების ტაძარში გაიმართა სრულიად საქართველოს ქართული გვარების წინამძღოლთა დარბაზის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა დარბაზის გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებებს.**

გვარების წინამძღოლთა დარბაზის წინაშე ვრცელი სიტყვით გამოვიდა დარბაზის თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი ბრეგვაძე,** რომელმაც ყურადღება გაამახვილა დღემდე განხორციელებულ ღონისძიებებზე და ისაუბრა სამომავლო ამოცანებზე. დარბაზის წევრებს მოუწოდა მუშაობის გააქტიურებისაკენ.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 2025 წლის სამუშაო გეგმის განსახორციელებელ ღონისძიებებს. განსაკუთრებული მოვლენა იქნება მიმდინარე წელს ქართული გვარების დარბაზის მიერ წიგნის გამოცემა. ამასთან, გვარების წინამძღოლები ვალდებულნი არიან წელიწადში ერთხელ მოაწყონ გვარების შეკრებები და იმსჯელონ ჩატარებული ღონისძიებების ავ-კარგზე და დასახონ სამომავლო ამოცანები.

გვარების წინამძღოლთა დარბაზის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა **შოთა ზედგინიძემ ირაკლი ბრეგვაძეს** მიულოცა დაბადების 66 წლისთავი, რომელიც დღენიადაგ ზრუნავს წინამძღოლთა დარბაზის მუშაობის გასააქტიურებლად. მისი ინიციატივით მნიშვნელოვანი კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა ბავშვთა სახლის და მოხუცებულთა პანსიონის დასახმარებლად და კონკრეტული საქველმოქმედო ღონისძიებებისათვის.

გოგუაძეების გვარის წინამძღოლმა **გიგი გოგუაძემ** ყურადღება გაამახვილა ქართული გვარების ისტორიისათვის წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით და მოუწოდა დარბაზის წევრებს იზრუნონ მასალების დროულად წარდგენისთვის.

გვარების დარბაზის წევრთათვის სიახლეს წარმოადგენდა წარმატებულ და ღვაწლმოსილ წინამძღოლთა „ღირსეული მამულიშვილის" მედლით დაჯილდოება. დარბაზის მუშაობაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებულთა შორის არიან:

**ზედგინიძე-ამილახვართა** საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი **შოთა ზედგინიძე.**

**ხიმშიაშვილების** საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე, თადარიგის პოლკოვნიკი, აფხაზეთის ომის აქტიური მონაწილე, საქართველოს ისტორიულ გვართა კავშირის თავმჯდომარე, სამეფო კლუბის წევრი, წიგნის და სამასზე მეტი სტატიის ავტორი **ვალერი ხიმშიაშვილი.**

**მაჭარაშვილების** საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე, რვა შვილის მამა, ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის სტიქაროსანი, იურისტი, ისტორიკოსი **ილია მაჭარაშვილი.**

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრი, გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორი, ღირსების ორდენის კავალერი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ლომიძეების საგვარეულო დარბაზის თავმჯდომარე **ვალერიან (ვალიკო) ლომიძე.**

სრულიად საქართველოს გვარების დარბაზის თავმჯდომარის მოადგილე, „ჯორჯიან ავტოიმპორტის" დირექტორი, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის, ქუთაისის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფილიალების დირექტორი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენერგეტიკული პოლიტიკისა და დეპარტამენტის მრჩეველი ტექნიკურ საკითხებში, გოგუაძეების გვარის სამაგალითო პიროვნება, ღირსეული მამულიშვილი და გვარის წინამძღოლი **გოგი (გიორგი) გოგუაძე.**

საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის, გვარების წინამძღოლთა დარბაზის წევრი, აგროკონსორციუმ „წეროვანის" თანადამფუძნებელი, დირექტორის მოადგილე, 2 წიგნის, 8 გამოგონების და მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი, გვარების ისტორიის მკვლევარი, ბიზნესმენი, მეცენატი და ღირსეული მამულიშვილი **ლევან ბერაია.**

გვარების წინამძღოლთა დარბაზის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის „ღირსეული მამულიშვილის" მედლით დაჯილდოვდა სააქციო საზოგადოება „გრალი-92" გენერალური დირექტორი **ზურაბ ლოლუა.**

სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის თანათავმჯდომარე, ადამაშვილების გვარის წინამძღოლი, ღირსების ორდენოსანი, ჩოხოსანთა ანსამბლ „შავლეგოს" ხელმძღვანელი, „ფაზისის აკადემიის" წევრი, კომპოზიტორი, მსოფლიოს საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალის მრავალგზის ლაურეატი, ცხრა შვილის მამა და ღირსეული მამულიშვილი **ჯემალ ადამაშვილი.**

ღირსეული მამულიშვილის მედლით დაჯილდოვდა ქველმოქმედი და მეცენატი, მეგობარი და ღირსეული მამულიშვილი, სრულიად საქართველოს ქართული გვარების წინამძღოლთა დარბაზის თავმჯდომარე **ირაკლი ბრეგვაძე,** რომელიც ფაქტობრივად, გაუქმებულ დარბაზის საზოგადოებას ჩაუდგა სათავეში და უდიდესი წვლილი შეიტანა დარბაზის ამოქმედებაში და მის უნარიან მართვაში.

შეხვედრაზე სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ: ბრეგაძეების გვარის წინამძღოლი, სამაგალითო ქართველი დედა, მართლმადიდებლური „სამზარეულოს" ენციკლოპედიის თანაავტორი, ასოციაცია „მესხეთი 2001"-ის გამგეობის წევრი, ბრეგაძეების წინამძღოლი, ქალბატონი **ნანი ბრეგაძე;**

ბოლქვაძეების საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე, გვარების წინამძღოლთა აჭარის რეგიონალური დარბაზის გამგეობის წევრი **ბიჭიკო ბოლქვაძე;**

მიქაბერიძეების გვარის წინამძღოლი, პოლიციის გენერალ-მაიორი, ისტორიულ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, კრიმინოლოგიის აკადემიის აკადემიკოსი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი **ალექსანდრე (ალეკო) მიქაბერიძე;**

გოგუაძეების გვარის ღირსეული წარმომადგენელი **ბადრი გოგუაძე,** სახელოვანი მოქანდაკე, არაერთი საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილე, სამების საკათედრო ტაძრის ფასადისა და კანკელის ძვირფასი ჩუქურთმებით, ასევე სხვა ტაძრების გარე ფასადების მოჩუქურთმე.




# ქართველი და ოსი თედიაშვილები ძმები არიან!



**თედიაშვილის გვარი ბორჯომული წარმოშობისაა. დიდი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი XVII საუკუნის დასაწყისში დღევანდელი ბორჯომის რაიონში ასახლებს „თედიან-უბანს" ანუ თედიაშვილების სოფელს.**



ცნობილი მეცნიერისა და ეთნოგრაფის, პროფესორ სერგი მაკალათიას მიხედვით წაღვერთან მდებარეობდა თედიაშვილების სოფელი. XVIII საუკუნეში თედიაშვილები იყვნენ ავალიშვილების ყმები. ცნობილია, რომ ვახუშტის შემდეგ, XVIII საუკუნის ბოლოს, თურქების შემოსევისა და ლეკ-აბრაგების თავდასხმების წლებში, ავალიშვილები იძულებულები გახდნენ თავიანთი ყმებით ბორჯომის ხეობიდან გადასახლებულიყვნენ შიდა ქართლში, სადაც XIX საუკუნის 20-იან წლებამდე ბრეთში ცხოვრობდნენ და მოექცნენ ოსურ გარემოში, ბევრი თედიაშვილი კიდეც გაოსდა. XIX საუკუნის დასაწყისში ავალიშვილები კვლავ დაბრუნდნენ ბორჯომის ხეობაში, მათ შორის იყვნენ თედიაშვილებიც.

თედიაშვილების გვარი 2840 ოჯახია საქართველოში, რომლებიც ცხოვრობენ ძირითადად–საგარეჯოში, ბორჯომში, თბილისში, დმანისში, ახმეტაში, ქარელში...

თედიაშვილებს გვყავს სახელოვანი გვარის შვილები, მათ შორის:

**ლევან თედიაშვილი,** რომელიც დაიბადა 1948 წლის 15 მარტს საგარეჯოში, გარდაიცვალა 2024 წლის 17 თებერვალს. ქართველი ბექდაუდებელი ფალავანი, თავისუფალი სტილის მოჭიდავე, სპორტის დამსახურებულ ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის, სართაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, ფილას, ღირსების ორდენების კავალერი, **ოლიმპიური თამაშების 2-გზის ჩემპიონი (1972, 1976)** ჭიდაობაში, მსოფლიოს 4-გზის (1971, 1973, 1974, 1975) და ევროპის 3-გზის ჩემპიონი (1974, 1976, 1978), მსოფლიო თასის მფლობელი (1973), ცნობილი ფილმის „ხარება და გოგიას" მთავარი როლის შემსრულებელი.

ლევანი ერთადერთი მოჭიდავეა, რომელმაც ჩემპიონის ტიტული სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მოიპოვა: 82კგ და 90 კგ წონებში ოლიმპიადა და მსოფლიო პირველობები მოიგო, 100კგ წონით კი ევროპის ჩემპიონის ტიტული. 1993 წლის 22 სექტემბერს აფხაზეთის ომის დროს, ბაბუშერას აეროპორტში აფეთქებულ თვითმფრინავს მისი 19 წლის ვაჟი ვახტანგ თედიაშვილი შეეწირა. 2003 წელს ლევანს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. 2011 წელს ნუგზარ შატაიძემ გამოსცა უძვირფასესი წიგნი „ლევან თედიაშვილი".

– თედიაშვილების გვარის გაერთიანებასა და გამთლიანებაში დიდი წვლილი მიუძღვის მამა **ეპიფანე ლევან თედიაშვილს,** რომელიც მსახურობს ყინწვისში. 2024 წელს მამა ეპიფანეს ლოცვა-კურთხევით დაიწერა წმინდა გიორგის საგვარეულო ხატი, თედიაშვილების საგვარეულო გერბი და საგვარეულო დროშა. 2024 წელს მამა ეპიფანემ თედიაშვილების გვარის წინამძღოლად დავით თედიაშვილი წარადგინა.

დავით თედიაშვილი დაიბადა 1970 წლის 27 აგვისტოს საგარეჯოში. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 1992 წელს წითელი დიპლომით დაასრულა. 1993 წელს მონაწილეობდა საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში –სოხუმში, ოჩამჩირეში.

1997-1998 წლებში დაასრულა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო აკადემია.

1992 წლიდან 2003 წლამდე მსახურობდა თავდაცვის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე.

2003 წელს კი დაოჯახდა, ჰყავს მეუღლე და 4 შვილი.



სამწუხაროდ, მკითხველისათვის უცნობია, რა მუშაობა ჩატარდა გვარის გამთლიანება-განვითარებისათვის, როდის აკურთხეს გვარი. როგორც ჩანს, გვარის მეთაურს, ბატონ დავითს, სამუშაო გეგმის შედგენაში დარბაზის გამგეობა უნდა დაეხმაროს, მით უფრო ახლა, როცა თედიაშვილების გვარი, ფაქტობრივადდ, ორად არის გახლეჩილი, ქართველებად და ოსებად. არადა გვარის ფუძე ნამდვილად ქართულია. დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, გვარის უფროსი თაობის წარმომადგენლებმა უნდა გამოიჩინონ სახალხო დიპლომატია და გადადგან ნაბიჯები ოსი და ქართველი თედიაშვილების დასაახლოებლად. ამაზე დიდ საქმეს გვარის დარბაზი ვერც გააკეთებს. საამისოდ, რომ იტყვიან, „სამკალი ბევრია".

მე კარგად ვიცნობ ოს და ქართველ თედიაშვილებს, ბევრი მეგობარი მყავს ბორჯომში, მათთან შეხვედრა და საუბარი ძნელი არაა, მონდომებაა საჭირო.

**კარგი იქნება, თუ ბატონი დავითი ბორჯომში ჩამოვა, ყველანაირად დავეხმარები. იმედს ვიტოვებ, გვარის მეთაურს შევხვდები და გავაცნობ გვარში მუშაობის სპეციფიკას.**

**ვალერიან ლომიძე,**

**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

საქართველოს რესპუბლიკა

ჩვენი ოჯახის უროლოგი

## არჩილ ჩხოტუა



# თამბაქოს ბოლში „გახვეული" საფრთხეები, „ტიფლისის ტოპრაკი" და სხვა



**ჩვენი დღევანდელი საუბრის თემაა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა შარდის ბუშტის კიბო, კერძოდ, მიმოვიხილავთ, თუ რატომ არის ეს პრობლემა აქტუალური და როგორ შეიძლება ვებრძოლოთ მას**

**– ბატონო არჩილ, რაში მდგომარეობს ამ დაავადების აქტუალობა და როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?**

– შარდის ბუშტის კიბოს აქტუალობა, უპირველეს ყოვლისა, მის გავრცელების სიხშირეშია. ჩვენ, როცა ვსაუბრობდით პროსტატის კიბოზე, აღვნიშნეთ, რომ იგი მამაკაცების ყველაზე ხშირი ონკოლოგიური დაავადებაა. შარდის ბუშტის კიბო, სიხშირით მეორე უროლოგიური ონკოლოგიური მძიმე სენია და, სამწუხაროდ, მეტად გავრცელებულია, მათ შორის საქართველოშიც. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ყოველწლიური მონაცემებით, საქართველოში, გავრცელების სიხშირით, შარდის ბუშტის კიბო მამაკაცებში, მესამე ადგილზეა ფილტვისა და პროსტატის კიბოს შემდეგ. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ზუსტი მონაცემები ქვეყანაში შარდის ბუშტის კიბოს მიზეზით სიკვდილიანობის შესახებ, თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მეტისმეტად დიდია, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ამ დაავადების გართულებების მაღალ სიხშირეს და მის მკურნალობაზე სახელმწიფოს მიერ გაწეულ სოლიდურ ფინანსურ დანახარჯებს.

**– რას გვეტყვით შარდის ბუშტის კიბოს გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელია ყველაზე ხშირი ფაქტორები, რომლებიც ამ დაავადებას იწვევს და როგორ შეიძლება მათგან თავის დაცვა?**

– შარდის ბუშტის კიბოს ყველაზე ხშირი გამომწვევი ფაქტორია თამბაქოს მოხმარება. დადგენილია, რომ შემთხვევათა ნახევარზე მეტში ეს დაავადება სწორედ მწეველებში გვხვდება. თამბაქო შეიცავს კანცეროგენებს, რომლებიც მწეველ პაციენტებში ჭარბად გამოიყოფა შარდში და სისტემატური, ხანგრძლივი ზემოქმედებით შარდის ბუშტის ლორწოვან გარსზე იწვევს კიბოს განვითარებას. აქ მნიშვნელობა აქვს როგორც ყოველდღიურად მოხმარებული თამბაქოს ოდენობას, ისე მოხმარების ხანგრძლივობას.

ასევე დადგენილია, რომ მწეველ პაციენტებში უფრო მაღალია მეტასტაზების განვითარებისა და კიბოთი განპირობებული სიკვდილიანობის რისკი. თუ პაციენტი შეწყვეტს თამბაქოს მოხმარებას, შარდის ბუშტის კიბოს განვითარების რისკი მცირდება დაახლოებით 30%-ით ხუთი წლის შემდეგ. თუმცა ამ პაციენტებშიც, დაავადების განვითარების რისკი უფრო მაღალია, ვიდრე მათში, ვინც თამბაქოს საერთოდ არ ეწეოდა..

კანცეროგენებიდან, რომელთა კავშირი შარდის ბუშტის კიბოს განვითარებასთან დამტკიცებულია, აღსანიშნავია დარიშხანი და მთელი რიგი სამრეწველო შხამქიმიკატი, რომლებიც გვხვდება ლითონებში, საღებავებში, ტყავში და სხვა. კიბოს კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განზსაღვრულია სპეციალობები, რომლებიც ზრდიან შარდის ბუშტის კიბოს განვითარების რისკს. ესენია, კერძოდ, რეზინის წარმოება, ალუმინის მრეწველობა და მეხანძრეობა.

**– ბატონო არჩილ, ბოლო წლებში საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც ძალიან პოპულარული გახდა ელექტრო სიგარეტების მოხმარება. არსებობს აზრი, რომ თამბაქოსგან განსხვავებით, ელექტრო სიგარეტები ნაკლებად მავნეა და არ იწვევს ისეთ საშიშ დაავადებებს, როგორიცაა კიბო. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს და ნამდვილად უსაფრთხოა თუ არა ელექტრო სიგარეტის მოხმარება ადამიანის უროლოგიური ჯანმრთელობისთვის?**

– ე.წ. ელექტრო სიგატერები მართლაც ძალიან პოპულარული გახდა და მათ მომხმარებელთა რიცხვი სწრაფად მატულობს. არიან ისეთებიც, რომლებიც ერთდროულად მოიხმარენ ორივე სახეობის – როგორც ელექტრო, ისე ტრადიციულ სიგრეტს. ძირითადი მოტივი ტრადიციულიდან ელექტრო სიგარეტებზე გადასვლისა, მწარმოებლთა მიერ მოწოდებული ლეგენდის მიხედვით, თამბაქოს ბოლში შემავალი ტოქსინების ორგანიზმზე უარყოფითი გავლენის შემცირებაა და ამის ერთ-ერთი მაგალითი ნიკოტინის არშემცველი ელექტრო სიგარეტებია. მაგრამ, მკითხველს უნდა ვუთხრა, რომ ჯანმრთელობაზე ყველაზე დიდ უარყოფით გავლენას ახდენს არა ნიკოტინი, არამედ ის ნარჩენი უამრავი ქიმიური ნაერთი, რომელიც თამბაქოს ბოლშია. სწორედ მათ და არა ნიკოტინს ახასიათებს კანცეროგენული მოქმედება ჩვენს ორგანიზმზე. ნიკოტინი იწვევს ადიქციას, ანუ მიჩვევას და შემდეგ აბსტინენციას, ანუ მოთხოვნას, მაგრამ ის არ არის ყველაზე მავნე ნივთიერება, რომელსაც შეიცავს თამბაქოს ბოლი.

ვნახოთ, რას გვიჩვენებენ სამეცნიერო კვლევები ელექტრო სიგარეტების შესაძლო გავლენის შესახებ ჯანმრთელობაზე. დადგენილია, რომ თამბაქოს ბოლში შვიდ ათასამდე ქიმიური ნაერთი შედის, რომელთაგან 70 კანცეროგენია და იწვევს 16 სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოს! ელექტრო სიგარეტების ბოლში ბევრად ნაკლები ქიმიური ნაერთია, მათ შორის ისეთები, რომელთა გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე შესწავლილი არ არის. ელექტრო სიგარეტების სისტემატურად მომხმარებელთა შარდში ნანახია 63 სხვადასხვა ქიმიური ნაერთი, მათ შორის კანცეროგენული ეფექტის მქონე ნივთიერებები (მძიმე ლითონები და სხვა). ექსპერიმენტული კვლევები ცხოველებზე აჩვენებენ, რომ ელექტრო სიგარეტის ბოლის ხანგრძლივი (სამ თვეზე მეტი ხნის) ზემოქმედება იწვევს ფილტვისა და შარდის ბუშტის კიბოს განვითარებას.

ელექტრო სიგარეტის მომხმარებელთა შარდის ქიმიური ანალიზი აჩვენებს, რომ მასში ქიმიური ნივთიერებების შემცველობა, მართალია ნაკლებია, ვიდრე მწეველთა შარდში, მაგრამ მნიშვნელოვნად აღემატება არამწეველთა შარდში მათ შემცველობას. თუ ამას დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ ელექტრო სიგარეტის მოხმარება იწვევს ბევრ გვერდით მოვლენას, როგორებიცაა მაგალითად, პირის ღრუსა და ყელის სიმშრალე, ხველა, გულისრევის შეგრძნება, თავბრუ და სხვა, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ მისი მოხმარება უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის.

რამდენად იწვევს ელექტრო სიგარეტის ხანგრძლივი, მოხმარება კონკრეტულად კიბოს განვითარებას, ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით უცნობია და მოითხოვს ხანგრძლივ მეცნიერულ კვლევას. თუმცა, უკვე არსებული მეცნიერული კვლევის შედეგები მოწმობენ მის შესაძლო კარცეროგენულ თვისებებს.

**რჩევა მკითხველს: დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ თამბაქოს მოხმარება! ნუ მოიხმართ ელექტრო სიგარეტს, ის არ იცავს ადამიანის ჯანმრთელობას ისეთი საშიში დაავადების განვითარებისაგან, როგორიცაა კიბო!**

**– ბატონო არჩილ, რომელია შარდის ბუშტის კიბოს განვითარების სხვა რისკ-ფაქტორები, რომელთა შესახებ ჩვენმა მკითხველმა უნდა იცოდეს? რამდენად მნიშვნელოვანია, ვთქვათ, მემკვიდრეობითი დატვირთვა, კვება და სხვა ფაქტორები?**

– მეცნიერულად დამტკიცებულია ამ დაავადების განვითარების რამოდენიმე რისკ-ფაქტორი: პირველ რიგში ეს არის სქესი. ცნობილია, რომ მამაკაცები ბევრად ხშირად ავადდებიან შარდის ბუშტის კიბოთი, ვიდრე ქალები. ასაკი დაავადების მეორე რისკ-ფაქტორია. იგი უხშირესად 55 წლის ზემოთ გვხვდება. 40 წლამდე ასაკის პაციენტებში შარდის ბუშტის კიბო იშვიათობაა. დამტკიცებულია, რომ ქრონიკული, ხანგრძლივად მიმდინარე შარდის ბუშტის ანთება ასევე იწვევს კიბოს. ჩატარებული სხივური თერაპია მუცლისა და მენჯის ღრუს ორგანოების სხვა სიმსივნეების გამო (გინეკოლოგიური ორგანოების, ნაწლავისა და სხვა), ასევე ზრდის შარდის ბუშტის კიბოს განვითარების რისკს 5-15 წლის შემდეგ.

რაც შეეხება მემკვიდრეობით ფაქტორს, მისი მნიშვნელობა შარდის ბუშტის კიბოს წარმოშობაში მეცნიერულად დადასტურებული არ არის. დადგენილია გარკვეული გენური მუტაციები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს დაავადების განვითარება, მაგრამ, საბედნიეროდ, მათი სიხშირე პოპულაციაში ძალზედ დაბალია და ოთხ პროცენტს არ აღემატება.

რაც შეეხება დიეტურ ფაქტორებსა და ცხოვრების წესს, მტკიცებულებები სხვადასხვა საკვების მიზეზით გამომწვევი, ან დამცველი როლის შესახებ, მწირია. კიბოს კვლევის მსოფლიო ორგანიზაცია მიუთითებს ჩაის, ხილისა და ბოსტნეულის ამ დაავადებისაგან შესაძლო დამცველობით როლზე. არის კვლევები, რომლებიც აჩვენებენ, რომ ჭარბი წონა და სიმსუქნე ზრდის, ხოლო რეგულარული ფიზიკური აქტივობა ამცირებს შარდის ბუშტის კიბოს განვითარების რისკს. სხვა პროდუქტებისა და სითხეების შესაძლო კავშირზე დაავადებასთან მტიცებულებები არ მოგვეპოვება.

**– რა სიმპტომები ახასიათებს შარდის ბუშტის კიბოს და როგორ უნდა ამოიცნოს პაციენტმა ამ დაავადების განვითარება ადრეულ სტადიებზე?**

– სამწუხაროდ, შარდის ბუშტის კიბოს მწირი სიმპტომები აქვს, თუმცა, ერთ-ერთი მათგანი ძალიან დამახასიათებელი და საყურადღებოა. ეს არის შარდში სისხლის არსებობა. სისხლიანი შარდი, ხშირად, ერთად-ერთი სიმპტომია და პაციენტი მას ძალიან სერიოზულად უნდა მოეკიდოს. სამწუხაროდ, ეს ამავდროულად, ერთობ ვერაგი სიმპტომიცაა, ვინაიდან ეპიზოდური ხასიათი აქვს და შესაძლოა მოულოდნელად გაქრეს. პაციენტი ხშირად მას ან რაიმე სხვა მიზეზს აბრალებს (მაგ. ჭარხალი ვჭამე, წითელი ღვინო დავლიე და სხვა), ან, უბრალოდ არ მიმართავს ექიმს. დაავადება კი ამასობაში ძლიერდება და საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს.

**გახსოვდეთ:** არც ჭარხალი, არც ბროწეული, არც წითელი ღვინო, ან სხვა საკვები და სასმელი არ ფერავს შარდს წითლად. ამიტომ, **დაუყოვნებლივ მიმართეთ უროლოგს შარდში სისხლის არსებობის პირველივე ეპიზოდისას, განსაკუთრებით, მაშინ, თუ თქვენ ზემოთ ჩამოთვლილი რისკ-ფაქტორებიც გაქვთ. იცოდეთ, ამაზე თქვენი სიცოცლე იქნება დამოკიდებული.**

დაავადების სხვა სიმპტომებიდან აღსანიშნავია ხშირი და მტკივნეული შარდვა, თუმცა ეს ორი სიმპტომი ბევრი სხვა დაავადების დროსაც გვხვდება და ძალიან არასპეციფიურია შარდის ბუშტის კიბოსთვის.

**– რას გვეტყვით შარდის ბუშტის კიბოს მკურნალობის შესახებ? რა თანამედროვე მკურნალობის მეთოდები გამოიყენება ამ დროს და რამდენად არის ისინი დანერგილი დღეს საქართველოში?**

– ისევე, როგორც სხვა ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობაში, შარდის ბუშტის კიბოს შემთხვევაშიც, მკურნალობის ტაქტიკა დაავადების სტადიაზეა დამოკიდებული. საწყისი სტადიებისას, სიმსივნის მოცილება ენდოსკოპიურად, გარედან ჭრილობის გარეშე არის შესაძლებელი. აღნიშნული ოპერაცია ყველაზე თანამედროვე ლაზერის გამოყენებით არის შესაძლებელი და საქართველოში რამოდენიმე სამედიცინო დაწესებულებაშია დანერგილი. პირველი ასეთი ოპერაცია ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნულ ცენტრში ჩაატარე 2019 წელს. ეს ნაკლებინვაზიური და მინიმალურად ტრავმული ოპერაციაა, რომელიც ერთდღიან ჰოსპიტალიზაციას ითხოვს და, ფაქტობრივად უსისხლოა.

დაავადების უფრო შორსწასულ შემთხვევებში, გაცილებით რადიკალური ოპერაციებია საჭირო, როგორიცაა მაგალითად, შარდის ბუშტის ამოღება. ეს ბევრად რთული და ტრავმული ოპერაციაა, რომელიც პაციენტის შესაბამის კონდიციას და სამედიცინო პერსონალის მაღალ კომპეტენციას მოითხოვს. ეს ოპერაციებიც წარმატებით ხორციელდება საქართველოს რამდენიმე კლინიკაში.

**– შარდის ბუშტის ამოღების შემდეგ რა ემართება შარდს, სად გროვდება იგი?!**

– ეს ძალიან სწორი და მნიშვნელოვანი შეკითხვაა. შარდის ბუშტის ამოღების შემდეგ, საჭირო ხდება მისი ჩანაცვლება სხვა ორგანოებისგან ხელოვნურად შექმნილი შარდის ბუშტით. ამ მიზნით, ძირითადად გამოიყენება ნაწლავები, რომლებისგანაც ხდება ახალი შარდის ბუშტის ფორმირება. სხვათა შორის, მკითხველს მინდა ვუთხრა, რომ ამ ურთულესი, რეკონსტრუქციული ქირურგიული ტექნიკების შემუშავებაში ქართული უროლოგიური სკოლა – არ მოვერიდები ამის თქმას! – მსოფლიოში ცნობილია.

ეს საქმე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში წამოიწყო ქართული უროლოგიის ფუძემდებელმა, აკადემიკოსმა **ალექსანდრე წულუკიძემ,** რომელმაც შეიმუშავა ხელოვნური შარდის ბუშტის ფორმირების ორიგინალური ქირურგიული მეთოდიკა და გამოიყენა იგი კლინიკურ პრაქტიკაში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ აკადემიკოსმა ა. წულუკიძემ თავისი ორიგინალური მეთოდი გამოაქვეყნა უროლოგიის საერთაშორისო ბრიტანულ ჟურნალში 1969 წელს. ეს ჟურნალი მაშინაც და ახლაც ითვლება უროლოგიის სპეციალობაში მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან და ცნობილ გამოცემად.

ეს ოპერაციები გაგრძელდა ძირითადად აკადემიკოს ა.წულუკიძის მიერ დაარსებულ მაშინდელ უროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მისი დირექტორის, აკადემიკოს ლაურ მანაგაძის მიერ. აკადემიკოს მანაგაძისა და მისი ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა მსხვილი და წვრილი ნაწლავებისაგან შარდის ბუშტის ფორმირების ოპერაციის ნოვატორული ტექნიკა, რომელმაც დიდი გამოხმაურება პოვა მსოფლიოში. ამ ტექნიკას „ტიფლისის ტოპრაკის" ოპერაცია ეწოდა და გამოქვეყნდა წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში.

შარდის ბუშტის ფორმირების ოპერაციები, ვიმეორებ, დღესაც წარმატებით ხორციელდება ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს კიდევ რამოდენიმე სხვა კლინიკაში.

**– ბატონო არჩილ, ტრადიციულად, ინტერვიუს ბოლოს გთხოვთ, დაგვიანონსოთ ჩვენი შემდეგი საუბრის თემა.**

– შემდეგ მასალაში, რომელიც სავარაუდოდ ჩვენი ციკლის ბოლო თემა იქნება, ჩვენ გავაშუქებთ თირკმლის კიბოსთან დაკავშირებულ აქტუალურ პრობლემებს. ამით ჩვენ დავასრულებთ ყველაზე ხშირი და მნიშვნელოვანი ურო-ონკოლოგიური დაავადებების მიმოხილვას და ჩვენს ციკლს მიძღვნილს ზოგადად უროლოგიური დაავადებებისადმი.

ესაუბრა

**ოთარ ტურაბელიძე**



# მეგრელთა საქმე

## ალეკო ასლანიშვილი

### დღე პირველი

**...1951 წლის 4 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის 34-ე წლისთავის დღესასწაულის წინადღეებში, თბილისის სამგორის არხის მშენებლობის დამთავრებისადმი მიძღვნილი მიტინგი გაიმართა.**

**სამგორის უზარმაზარი ქვაბულიგლდანის კოლმეურნეობის ფერმის ყოფილი საძოვარი, სულ მალე თბილისის ზღვად, ხოლო მის გარშემო გაწფენილი მწირი და უკაცრიელი მიწები წალკოტად იქცევა. ასეთია საკრემლო-საგელადო პატაკის შინაარსი. მთელი თბილისი თავისი საწარმო დაწესებულებებით, ორგანიზაციებითა და კოლექტივებით ამ ქვაბულშია, ხაროზს და ქეიფობს.**

სიტყვას ამბობს საქ. კპ((ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი. ტრიბუნა აღმოსავლეთის მხარეს, ზედ არხის თავზეა. იქ კ. ჩარკვიანის გვერდით დგანან მომღიმარი მეორე მდივანი მიხა ბარამია, ბიუროს, მთავრობის წევრები, სტუმრები, მშენებლები. არის ზეიმი და ვერავინ გრძნობს, რა უბედურება დატრიალდება საქართველოში სულ რაღაც ერთ კვირაში.

ორიოდ დღეში კი საოქტომბრო აღლუმი იმართება. მიხა ბარამია და კანდიდ ჩარკვიანი კვლავ გვერდიგვერდ დგანან, ფართო, ბედნიერი ღიმილით ესალმებიან თბილისელ მშრომელებს. არაფერი არ აფერმკრთალებს ნათელ, საზეიმო დღეს...

იქ კი, შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც ზანტი ტალღები შრიალით მიმოიქცევა თბილ, ოქროსფერ ქვიშაზე, ჰაერი კი მზითა და გამაბრუებელი არომატით არის გაჯერებული, ვერანდაზე ზის თეთრკიტელიანი, ტანმორჩილი ჭაღარა კაცი და წარბშეკრული დაჰყურებს თეთრ ფურცელს, რომელზეც ეს-ესაა პირველი სტრიქონი დაწერა...

10 ნოემბერს, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დახურულ სხდომაზე კანდიდ ჩარკვიანმა დამსწრეთ სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილება გააცნო. იგი დათრგუნული და განადგურებული ჩანდა. შემდეგ, უკვე ლეფორტოვის ციხეში, ნ. რუხაძე ჩვენებაში წერდა: „**როდესაც ჩარკვიანმა ცკ-ის დადგენილება წაგვიკითხა, სუყველანი თავზარდაცემულები ვიყავით. მე ვერც წარმომედგინა, თუ ამხელა რეზონანსს გამოიწვევდა ჩემი ინფორმაცია. მეგონა, მხოლოდ და მხოლოდ ბარამია და რაფავა დაისჯებოდნენ. ბოლოს და ბოლოს, რაღა დამრჩენოდა, ზემოდან მითითებისამებრ მე უნდა გამომეძია არარსებული მეგრელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის საქმიანობა და უკიდურესად მკაცრი ზომებით დამესაჯა ისინი“.**

აქ გენერალი ნ. რუხაძე საარაკოდ ისულელებს თავს: მან თურმე არ იცოდა, რა შეიძლება მოჰყოლოდა უშიშროების მინისტრის ინფორმაციას სტალინისადმი „მეგრელ ნაციონალისტთა“ მტრული საქმიანობის (დატაცება, მექრთამეობა, ანტიპარტიული დაჯგუფება) შესახებ...იგი უბრალოდ, ცდილობს, როგორმე თავი დაიძვრინოს-ეს აღსარება ლ. ბერიასადმია დაწერილი სტალინის სიკვდილის შემდეგ.

გადაწყდა: 11-12 ნოემბერს გაიმართოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, სადაც იმსჯელებენ – რა და როგორ...მანამდე მათ თვითონ სჭირდებათ დრო აზრის მოსაკრებად.

კანდიდ ჩარკვიანი გრძნობს ამ დოკუმენტის მოსალოდნელ მძიმე შედეგებს. დადგენილებაში ანტიპარტიული ჯგუფის წევრებად ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი კაცია დასახელებული: **მიხა ბარამია**, ავქსენტი რაფავა, ვლადიმერ შონია, კონსტანტინე ჭიჭინაძე. მაგრამ ეს მთიდან დაგორებული გუნდაა, რომელიც თანდათან აიკრავს თოვლს და ზვავად იქცევა...ნუთუ დადგენილების ავტორი, რომელიც მხოლოდ სტალინი შეიძლება იყოს, ვერ ხვდება, რომ „მეგრული ნაციონალიზმის“ ბრალდება საბოლოოდ „ყველაზე დიდ მეგრელამდე“ შეიძლება მიდიოდეს? თუ იცის და ამ დოკუმენტს მაინც ქმნის, მაშინ ყოვლისშემძლე ლავრენტი?.. ფიქრისა დავარაუდებისგან კაცს შეიძლება თავის ქალა აგეხადოს...

კაბინეტში მდივანი შემოდის. კ. ჩარკვიანი უკმაყოფილოდ წყდება ფიქრებს:

– რა გნებავთ?

– უშიშროების სამინისტროდან დალუქული წერილია თქვენს სახელზე!

გულმა რეჩხი უყო. ერთხანს შუბლშეკრული დასცქეროდა პაკეტს, შემდეგ ნელა გახსნა. სწრაფად ჩააყოლა თვალი სტრიქონებს – აი, ისიც, დაიწყო! მერე გულდასმით ჩაიკითხა:

*9. XI. 1951 წ. N0135*
*საქ. კპ(ბ) ცკ-ის პირველ მდივანს ამხ. კ. ნ. ჩარკვიანს“*

*მოგახსენებთ საქ. სუს-ში საქ. სსრ იუსტიციის მინიტრის ა. ნ. რაფავას ძმასა და ცოლისძმაზე არსებულ მასალებს.*

*ა. ნ. რაფავას ძმა კაპიტონ ნარიქის ძე რაფავა ფრონტზე პოლკოვნიკის ჩინით, მე-13 არმიის საველე სამმართველოს ქიმდაცვის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე ყოფნისას, 1941 წლის 27 ივლისს დაატყვევეს გერმანელთა ჯარებმა და გაგზავნეს ქ. ჰამელბურგში (გერმანია) სამხედრო ტყვეთა ბანაკში, სადაც საბჭოთა არმიის ოფიცრები და გენერლები იმყოფებოდნენ.*

*გესტაპოს ორგანოებს ამ ბანაკში შექმნილი ჰქონდათ ე. წ. „რუსეთის შრომის სახალხო პარტიის კომიტეტი“, რომლის წევრიც კ. ნ. რაფავა გახდა.*

*სსრკ სუს-ის მიერ დაპატიმრებული ე. ნ. შილოვის ჩვენებით, რომელიც იმავე ბანაკში იმყოფებოდა და იმავე ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი იყო, ცნობილია, რომ რშსპ კომიტეტი იბირებდა საბჭოთა არმიის სამხედრო ტყვებს თავის ორგანიზაციაში, ამზადებდა კადრებს „რუსეთის მოხალისეთა არმიისათვის“ და არჩევდა ტყვე ოფიცრებს პრაღაში არსებული სადაზვერვო სკოლისთვის. ამას გარდა, გამოიყო 4 ოფიცერი (ე. ნ. შილოვი, კ. ნ. რაფავა და ორი სხვა), რომლებიც გერმანული არმიის გენშტაბის ოფიცერთა დავალებით ადგენდნენ ანტისაბჭოთა ცილისმწამებლური სულისკვეთების „გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის ისტორიას“.*

*ნადავლი დოკუმენტებით, რომლებიც საბჭოთა ნაწილებმა ჩაიგდეს ხელში გერმანიის არმიათა ჯგუფ „ცენტრის“ შტაბში, ჩანს, რომ კ. ნ. რაფავამ გერმანიის სადაზვერვო ორგანო „აბვერჯგუფ-1"-ში წარადგინა საბჭოთა არმიის ქიმიური სამსახურის მდგომარეობის დაწვრილებითი მიმოხილვა.*

*კ. ნ. რაფავა წარსულში იყო ა/კავკასიის სამხედრო ოლქის ქიმიური კადრების უფროსი, გადის ხალხის მტრების მ. კ. ლევანდოვკის 1938 წ. 28 მაისისა და კ. ვ. ჩაშნიცკის 1938 წ. 21-23 აპრილის ჩვენებებით.*

*ზემოხსენებულის შესახებ ჩვენთვის ცნობილი გახდა 1951 წლის ოქტომბრის ბოლოს.*

*ა. ნ. რაფავას ცოლისძმა, 1900 წელს დაბადებული, ნოე ჟორდანიას ნათესავი გიორგი კონდრატეს ძე ჟორდანია, როგორც ცნობილია, 1926 წელს არალეგალურად წავიდა თურქეთში, შემდეგ-საფრანგეთში, სადაც დაფუძნდა ქ. პარიზში.*

*დიდი სამამულო ომის წლებში გ. კ. ჟორდანია, სხვა ემიგრანტებთან ერთად, აქტიურ ანტისაბჭოთა მუშაობას ეწეოდა გერმანელთა დაზვერვის მიერ შექმნილი რაზმის „თამარა-2"-ის შემადგენლობაში.*

*1942-1943 წ.წ-ში გ. კ. ჟორდანია გერმანული დაზვერვის ოფიცრისა და ანტისაბჭოთა ქართული ემიგრანტის რანგში, გერმანელთა ჯარებთან ერთად მოვიდა პიატიგორსკამდე და აქტიურ გადამბირებელ მუშაობას ეწეოდა სამხედრო ტყვეთა შორის.*

*სსრკ სუს-ის ორიენტირებით ჩვენთვის ცნობილია, რომ მენშევიკთა საზღვარგარეთის ბიუროს განზრახული აქვს საქართველოში ემიგრანტ დავით კონსტანტინეს ძე ჟორდანიას (ასევე ნოე ჟორდანიას ნათესავის) შემოგზავნა არალეგალური ანტისაბჭოთა მუშაობისათვის და რომ ამ უკანასკნელმა თანხმობა განაცხადა საქართველოში არალეგალურად შემოსვლაზე იმ პირობით, თუ მასთან ერთად გიორგი კონსტანტინეს ძე ჟორდანიაც წამოვა.*

*ამ მონაცემებთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, უნდა განვიხილოთ ა. ნ. რაფავას საკითხი.*

*ნ. რუხაძე“*

წერილს ადევს გამაოგნებელი რეზოლუცია:

*„ამხ. ნ. რუხაძეს*

*აუცილებელია ა. ნ. რაფავას სასწრაფოდ დაპატიმრება, როგორც ანტიპარტიული ჯგუფის წევრის და სამშობლოს მოღალატეების ახლო ნათესავისა.*

*დააპატიმრეთ, აგრეთვე, მისი ძმა ივანე რაფავა.*

*კ. ჩარკვიანი.*
*51 წ. 10/XI.“*

ავქსენტი რაფავა თავისი ბიოგრაფიით ნაკლებად იმსახურებს თანაგრძნობასა და გამოსარჩლებას, მაგრამ ნათქვამია, „ერთი – თხისკენ, ერთი – მგლისკენო“. ნ. რუხაძის ამ წერილის საფუძველზე საიდან, რა მანქანებით გაკეთდა




**სტალინის კვალი თბილისის ზღვის ფსკერზე.**

**„გვალვასაც დავამარცხებთ!“**

**თბილისის ზღვის ავსება და საზეიმო გახსნის ცერემონია**




გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №47-48, 50-51, 54-55, 56, 57



ვლადიმერ შონია

დასკვნა ავქსენტი რაფავას, როგორც ანტიპარტიული ჯგუფის წევრის, დაუყოვნებლივ დაპატიმრების აუცილებლობის შესახებ, ან რის საფუძველზე გაიცა მეორე ძმის დაპატიმრების სანქცია?

ყველაფერი ძველი, მრავალგზის გაკვალული, უტყუარი სცენარით ხდება (როგორითაც თვით ავქსენტი რაფავას შინსახკომში არაერთი „საქმე“ გადაუგორებია და არაერთი თავი დაუგორებია), 1951 წლის 11 და 12 ნოემბერს ნ. რუხაძის ბრძანებით („მეგრელთა საქმის“ ერთ-ერთი მთავარი გამომძიებელი, პოდპოლკოვნიკი თავდიშვილი შემდეგ წერდა, ნ. რუხაძე „შესაბამის მითითებას“ იმოწმებდა, ოღონდ, არ ამბობდა ვისასო) დააპატიმრეს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ავქსენტი რაფავა, რესპუბლიკის პროკურორი ვლადიმერ შონია და მისი მოადგილე კადრების დარგში (1944-1951 წლებში), ავქსენტის ძმა – იუსტიციის მ-3 კლასის სახელმწიფო მრჩეველი ივანე რაფავა (1902-1970 წ.წ.).

ავქსენტი რაფავას, არსებითად, ორი ძირითადი ბრალდება წაუყენეს: საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აგენტურული ქსელის წინასწარგანზრახული დაშლა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიაზე დასავლელი და მენშევიკური აგენტებისა და ემისრების შემოღწევას; და საეჭვო ნათესაური კავშირები.

საქმეში ფიგურირებს ავქსენტის ყოფილი მოადგილის სერგო დავლიანიძის 1951 წლის 17 ნოემბრით დათარიღებული ბარათი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრ ნ. რუხაძისადმი. ს. დავლიანიძე იუწყებოდა, 1944 წლის ივლისში საქ. სახუშიშროების სამინისტროს ორგანოების თურქეთში საქმიანობის ეფექტიანობა შევამოწმე და შედეგები თავზარდამცემი აღმოჩნდა: თურქეთში შეგზავნილი აგენტების 90 პროცენტზე მეტი ჩავარდა ან სამხილით ხელში დაიჭირესო. ს. დავლიანიძის აზრით, ეს ჩავარდნები საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს უმაღლესი წრეებიდან ინფორმაციის გაჟონვით ან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სასაზღვრო ჯარების დაზვერვის უფროსის მ. კუკუტარიას არაკომპეტენტურობით უნდა აიხსნას. ს. დავლიანიძეს თავისი მოკვლევის შედეგები რაფავასთვის უცნობებია, მას კი პირობა მიუცია, პირადად გამოვიკვლევ ყველაფერსო. მაგრამ, რეალურად, მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ კუკუტარიას აუკრძალა დავლიანიძისათვის შემდგომში რაიმე ინფორმაციის მიცემა ამ პრობლემის ირგვლივ. 1945 წელს თურქეთმა სსრ კავშირს გადმოსცა თავის ტერიტორიაზე დაკავებული ასობით საბჭოთა აგენტი. მათმა უმრავლესობამ უჩვენა, რომ თურქეთის კონტრდაზვერვის ორგანოები საზღვარზევე ელოდებოდნენ. შემთხვევითი როდი იყო, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის „სმერშის“ ორგანოებმა 1944 წლის 15 მარტს სსრკ საგარეო დაზვერვის უფროსს ფიტინს სიგნალი მისცეს, აჭარის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილების უფროსს მ. კაკაბაძეს დანაშაულებრივი კავშირი აქვს უცხოეთის სპეცსამსახურებთანო.

გენერალ-მაიორ სერგო დავლიანიძის ეს ბარათი „ამძრავი ღვედი“ აღმოჩნდა. მას უამრავი არსებული და არარსებული „საქმე“ მოჰყვა, რამაც ავქსენტი რაფავა საბოლოოდ საჯალათო კუნძთან მიიყვანა.

ამ კაცის „საეჭვო ნათესაურ კავშირებზე“ უკვე ვილაპარაკეთ. მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ ავქსენტის თავისი ძმის ბედი მხოლოდ 1946 წელს შეუტყვია და უცდია გერმანელებთან ძმის თანამშრომლობის ფაქტი საგულდაგულოდ დაემალა.



სერგო დავლიანიძე

ბარემ აქვე ვიტყვი იმ კუკუტარიაზე, რომელსაც ავქსენტი საგულდაგულოდ აფარებდა ხელს და ეს ასე საბედისწეროდ შემოუბრუნდა.

**მიხეილ კუკუტარია** (1900-1962 წ.წ.). ჩეკას თანამშრომელი 1921 წლიდან. მსახურობდა ქუთაისის, ფოთის, თბილისის, ზუგდიდის, გორის, ჭიათურის, ზესტაფონის, აჭარის, კასპის განყოფილებებში. 1938-1939 წ.წ. იყო აფხაზეთის ასსრ შს სახალხო კომისარი, 1940-1941 წ.წ.-შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქართველოს სასაზღვრო ოლქის უფროსის მოადგილე დაზვერვის დარგში, 1942-1943 წ.წ.- საქ. სსრ შინსახკომის დაზვერვის განყოფილების უფროსი, 1945-1948 წ.წ.-აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (სახელმწიფო უშიშროების მინისტრი). 1948 წელს პენსიაზე გაუშვეს. 1952-1953 წლებში დაჰკითხავდნენ „მეგრელთა საქმესთან“ დაკავშირებით, 1953 წლიდან კვლავ პენსიაზეა. ჰქონდა უშიშროების პოლკოვნიკის წოდება. დაჯილდოებული იყო საგანგებო კომისიის – სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საპატიო მუშაკის ნიშნითა და 7 ორდენით.

* * *

**პირველი დაპატიმრებების პარალელურად, 1951 წლის 11 ნოემბერს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გაიხსნა (იგი ორი დღე გრძელდებოდა). დაიწყო დიდი ბოლშევიკური „სუპრემა“-“მექრთამეთა და ანტიპარტიელთა“ გასამართლება.**

ოღონდ...

კითხულობ პლენუმის მასალებს და უმალ საჩინო ხდება: სალაპარაკო არაფერი აქვთ. ყველა განცვიფრებული და თავზარდაცემულია. უფრო მექრთამეობის მანკიერებას გმობენ: კანდიდ ჩარკვიანი, სხვები...

გამოვიდა თვით მიხა ბარამია, რა ანტიპარტიულ ჯგუფზეა ლაპარაკიო.

თავს კი ნუ იმართლებ, აღიარე დანაშაულიო, შეუძახეს. ოღონდ, კონკრეტულად რა ანტიპარტიული საქმე უნდა ეღიარებინა, კაცმა არ იცოდა, სხვათა შორის, როგორც ნახეთ, არც დადგენილებაში იყო ნათქვამი საგნობრივად...

ერთადერთმა, აფხაზეთის საოლქო კომიტეტიდან ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად ცოტა ხნის წინათ გადმოყვანილმა აკაკი მგელაძემ, როგორც იტყვიან, არ დატოვა ქვა ქვაზე. მისი გამოსვლა ნამდვილი საბრალდებო დასკვნა იყო. პლენუმის მასალები გვაკვალიანებს, რომ ფაქტობრივად, იგი მდგომარეობის ბატონ-პატრონია, კანდიდ ჩარკვიანი კი არა, ის წარმართავს ყველაფერს, უხვად ისვრის რეპლიკებს, რამდენჯერმე გამოდის.

აკაკი მგელაძე: **„ბარამიას გამოსვლა არ იყო გულწრფელი. იგი სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილების რევიზიის გზას დაადგა, რაც არ შეიძლება სხვაგვარად შეფასდეს, თუ არა ანტიპარტიული ქმედება... ბარამიამ თავისი მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საშუალებით, რომელსაც საკმაოდ ფართო ქსელი აქვს, ციხიდან იხსნა სოხუმის პროკურორი მექრთამე გვასალია. ამ ჯგუფს მოსკოვშიც ჰყავს თანამოაზრეები მეგრელ ნაციონალისტთაგან. უეჭველია, რომ ბარკალაია, რომელიც საკავშირო პროკურატურაში მუშაობს, ასევე შედის ამ ჯგუფში. ავიღოთ გალის რაიონის გაზეთ „სტალინური გზით“ რედაქტორის გვახარიას საქმე. ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ბარამია სამჯერ გამოვიდა და პირზე ქაფმორეული იცავდა მექრთამე და დამტაცებელ გვახარიას. მართალია იგი პარტიიდან გაირიცხა, მაგრამ თქვენ, ბარამია, შესძელით მისი ციხიდან დახსნა. თქვენ მფარველობდით ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელებს, რომლებიც გაიხრწნენ და ყოველგვარი პარტიულობა დაკარგეს. არ არსებობს სხვა რაიონი, სადაც ზუგდიდივით ფართოდ იყოს გავრცელებული მექრთამეობა, ქურდობა, დატაცება, ქალის გაუპატიურება.**

**თქვენ ყოველმხრივ იცავდით აკაკი კვარაცხელიას, ანტიპარტიულ კაცს, რომელიც არად აგდებდა საბჭოთა კანონებს. თქვენ მეგრული რაიონების შეფად გამოაცხადეთ თავი, თქვენ მხოლოდ მეგრელები გაინტერესებდათ, მხოლოდ მეგრელებს იცავდით. ამასვე აკეთებდნენ თქვენი ანტიპარტიული ნაციონალისტური ჯგუფის მეგრელი წევრები: იუსტიციის მინისტრი რაფავა, საქართველოს პროკურორი შონია და ცეკას მუშაკები ჭიჭინაძე, კუპრავა, კუჭავა და სხვ. აი, ნამდვილ ბოლშევიკ მეგრელებს კი დევნიდით, რადგან ისინი თქვენს შეხედულებებს არ იზიარებდნენ“.**



მიხეილ კუკუტარია

აკაკი მგელაძემ კანდიდ ჩარკვიანსაც რამდენჯერმე გაჰკრა კბილი. ისიც კი უხსენა, მრავალგზის მოგახსენეთ ბარამიას ცოლის შურა იოსავას არასწორი ქმედების შესახებ, გაჩვენეთ მისი წერილები, სადაც იგი მითითებებს იძლევა, ვის ბინა მივცეთ, ვინ სამუშაოზე მოვაწყოთ. რა თქმა უნდა, ამას არ ვასრულებდით. ეს ქალი ძალიან აქტიურობს კადრების საქმეში და აქა-იქ გამოსდის კიდეც, განსაკუთრებით სამეგრელოში. ამ ქალს არავითარი მორიდება არა აქვს. ერთხელ რეკავენ აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, ბარამია სოხუმს მიემგზავრება თავის ვაგონითო. გადავამოწმე და თურმე სპეციალური ვაგონით ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბარამია კი არ მიდის, არამედ – მისი ცოლი. მლიქვნელები დახვდნენ. მერე ვითომ სოხუმის სამედიცინო დაწესებულებები დაათვალიერა და დაბრუნდა.

დასასრულ, ა. მგელაძემ ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის სახელით პირობა მისცა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ **„დაუნდობლად ამოძირკვავს მექრთამეობას და ბარამიას ანტიპარტიული ნაციონალისტური ჯგუფის დამქაშებს“.**

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შოთა გეთიამ (იგი კარგა ხანი აკაკი მგელაძის მხარდამხარ მუშაობდა: 1948-1951 წლებში აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი იყო. აკაკის ქუთაისში გადაყვანის შემდეგ მისი ადგილი დაიკავა. 1953 წელს ბედმა უმუხთლა, პარტიიდან გარიცხეს) დაასახელა ვინმე ყალიჩავა, რომელმაც გაზეთში გამოაქვეყნა ცოლის გარდაცვალების განცხადება, არადა, ქალი ცოცხალი იყო. ეს დაზღვევის ფულის მისაღებად გააკეთა. იგი სამამულო ომის დროს დეზერტირებს ყალბ საბუთებს უმზადებდა.

ციხეში იჯდა, დაბრუნდა და ამხ. ბარამიამ გამოგვიგზავნა სამუშაოზე მოსაწყობად. ჩვენ ინსტიტუტში დანიშვნაზე უარი ვუთხარით. გათავხედდა და დეპეშებს უგზავნიდა მ. ბარამიას, საოლქო კომიტეტი ცუდად მექცევაო (ეს ლექტორი ყალიჩავა ხომ არ არის 60-იან წლებში თბილისში, ვარაზის ხევში ამხანაგური მშენებლობის ხელმძღვანელი ყალიჩავა, რომლის სახელიც ფართოდ გახმიანდა სკანდალური მაქინაციების გამო?-ა.ა.). ბარამია აფხაზეთიდან წასულ უკმაყოფილო კადრებს იკრებდა თავის გარშემო. კალანდია ჩვენ აფხაზეთიდან განვდევნეთ, მან კი ბარამიას მხარდაჭერით სამუშაო მიიღო. ზუგდიდის რაიონში ორგანიზაციას ვერ ნახავთ, გაიძვერობა არ იყოს. ყველამ იცის, ჩაჩიბაია იქ დღემდე იმიტომ მუშაობს პირველ მდივნად, რომ ბარამია უჭერს მხარს. ცენტრალური კომიტეტი გვაკისრებს, ფართო სააგიტაციო მუშაობა გავშალოთ მეგრული ნაციონალისტური ანტიპარტიული ჯგუფის წინააღმდეგო.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ იოსებ კოჭლამაზაშვილმა შენიშნა, ცეკას მეორე მდივანი ბარამია ყოველთვის ჯოხს ღუნავს ამხ. რუხაძის წინააღმდეგ. ახლა ცხადია, თუ რატომ ჰქონდა მინისტრ რუხაძის მიმართ ასეთი დამოკიდეებულება და არ ჰქონდა რაფავას მიმართ, მისი უშიშროების მინისტრად ყოფნის დროსო.

ცეკას მდივანმა **რაფიელ კვირკველიამ** პლენუმის ყურადღება მიაპყრო ბარამიას განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ზუგდიდისადმი, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ საქმე ანტიპარტიული ნაციონალისტური ჯგუფის შექმნამდე მივიდოდაო? მე თვითონ ვიყავი უშიშროების ორგანოებში რაფავას დამანგრეველი საქმიანობის მოწმე, თავისი ხალხის – გუგუჩიასა და კუკუტარიას საშუალებით აგროვებდა მეგრელებს, თავის მეზობლებს, სრულიად შემთხვევით ადამიანებსო. რაფიელ კვირკველია დაეთანხმა აკაკი მგელაძეს, ყველა ამ საქმეში მცირედი როლი როდი მიუძღვის ბარამიას ცოლს, ეს მთელმა თბილისმა იცის. ბარამიამ შეცდომები რომ დაუშვა, შურა იოსავას ბრალიც არისო.

რ. კვირკველიამ გაიხსენა ლ. ბერიას ხატოვანი გამოთქმა „**ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები ბაღლინჯოებივით უნდა დაჭყლიტოო**“. მას შემდეგ, რაც ბერია საქართველოდან წავიდა, მსგავსი რამ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში არ ყოფილა. როცა შონია დანიშნეს პროკურორად, ძალიან გამიკვირდა. პროკურორთა კადრებს მე განვაგებდი, შონიაზე არსებობდა ჩვენება. თავის დროზე, მაშინ შონია აფხაზეთში მუშაობდა, მასზე ამხ. ბერიამ თქვა: „აი, ნაძირალა“. მერე ბერია წავიდა და რაფავამ ხომ არ დაფარა შონიას მაკომპრომეტირებელი მასალები, როცა იგი ჯერ მოადგილედ, შემდეგ კი რესპუბლიკის პროკურორად დანიშნეს?

**(გაგრძელება იქნება)**



რაფიელ კვირკველია



შოთა გეთია

# „გეგმა B, თუ NATO არ იმუშავებს“

## – ოთხი სკანდინავიური ქვეყანა ერთად ემზადება რუსეთთან დასაპირისპირებლად



**ოთხმა სკანდინავიურმა ქვეყანამ – დანიამ, ნორვეგიამ, ფინეთმა და შვედეთმა, რომლებიც ინდივიდუალურად ვერ გაუმკლავდებოდნენ რუსეთს, რომელიც, მათი შეფასებით, ათწლეულის გოლოსთვის შეძლებს სამხედრო ძალის აღდგენას ნატოსთან დასაპირისპირებლად, დაიწყო სამხედრო რესურსების გაერთიანება შესაძლო აგრესიის შესაკავებლად ფინეთისა და შვედეთის ალიანსში გაწევრების შემდეგ. საერთო მიდგომა კიდევ უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც შეერთებულ შტატებში დონალდ ტრამპი მოვიდა ხელისუფლებაში, რომელიც იმუქრებოდა ალიანსის მხარდაჭერის შესუსტებით, – WThe Wall Street Journal.**

**შვედეთი ამაყობს დახვეწილი თავდაცვის ინდუსტრიით, რომელიც აწარმოებს წყალქვეშა ნავებს, საბრძოლო ტანკებს და ზებგერით გამანადგურებლებს. ნორვეგიას აქვს განვითარებული საზღვაო დაზვერვა და საბრძოლო შესაძლებლობები არქტიკაში.**

ფინეთს ჰყავს ერთ-ერთი უდიდესი არმია ევროპაში და ძლიერი საარტილერიო ძალები. დანიის სპეციალურ ძალებს ავღანეთისა და ერაყის სახიფათო რაიონებში მსახურების ათწლიანი გამოცდილება აქვს. ამავდროულად, ოთხი ქვეყნის ეკონომიკის ერთობლივი ზომა მხოლოდ ოდნავაა მცირე, ვიდრე რუსეთის მშპ.

**„თქვენ გაქვთ რეგიონალური ალიანსი, რომელსაც აქვს ეკონომიკური და რესურსული პოტენციალი, ააშენოს სრულად ინტეგრირებული თავდაცვის ინდუსტრიული ბაზა, როგორიც გერმანიას აქვს, მაგრამ საფრთხის განსხვავებული აღქმითა და ძლიერი პოლიტიკური ნებით“,** – ამბობს **ერიკ კიარამელა,** რუსეთისა და ევრაზიის საკითხებში კარნეგის ფონდის უფროსი თანამშრომელი ბერლინში და აშშ-ს დაზვერვის ყოფილი უფროსი ანალიტიკოსი.

**სკანდინავიური ბლოკი შეიძლება იყოს მოდელი ქვეყნების სხვა გაერთიანებისთვის, როგორიცაა შავი ზღვის მიმდებარე ქვეყნები,** – დასძენს **მატი პესუ,** ფინეთის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი. მისი აზრით, ამგვარი მოდელი ასევე შეიძლება იყოს დაზღვევა მომავალში, თუ ტრამპის ქმედებები ტრანსატლანტიკური ალიანსის დაშლას გამოიწვევს.

* * *

**ქვეყნებმა გააერთიანეს თავიანთი საჰაერო ძალები და შექმნეს სკანდინავიის ერთობლივი საჰაერო სარდლობა 2023 წელს. გასულ წელს მათ შეიმუშავეს კონცეფცია საერთო თავდაცვის შესახებ 2030 წლამდე სკანდინავიური თავდაცვის თანამშრომლობის ფარგლებში.**

ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის, ამჟამად ნორვეგიის ფინანსთა მინისტრის იენს სტოლტენბერგის თქმით, სკანდინავიურმა ქვეყნებმა 1400-იანი წლების შემდეგ პირველად მიიღეს უსაფრთხოების საერთო პოლიტიკა, გააცნობიერეს რა სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობა. ბოლოს და ბოლოს, დანიის დაზვერვის ბოლო შეფასებით, რუსეთს შეუძლია, ომი დაიწყოს ნატოს ერთი ან რამდენიმე ევროპული ქვეყნის წინააღმდეგ სამიდან ხუთ წელიწადში. ამის ალბათობა გაიზრდება, თუ უკრაინაში ზავი დაიდება და რუსეთი მიიღებს შესაძლებლობას, გადაიარაღოს და გააძლიეროს თავისი არმია.

**სკანდინავიური ქვეყნები უკრაინის ყველაზე აქტიური მხარდამჭერები არიან. კიელის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის მონაცემებით, თებერვლის მდგომარეობით, შვედეთი გამოყოფილი სამხედრო დახმარების მიხედვით მე-6 ადგილზეა (მშპ-ს პროცენტული მაჩვენებლით), ფინეთი – მე-5-ზე, დანია – მე-2-ზე (მან მთელი თავისი არტილერია გაიღო), ნორვეგია კი მე-11 ადგილზეა. მაგრამ ოსლომ ახლახან გამოაცხადა კიევისთვის მხარდაჭერის გაორმაგება – წელს 8 მილიარდ დოლარზე მეტი.**

კოპენჰაგენმა შეიმუშავა უკრაინის მთავრობის მიერ ქვეყნის თავდაცვის საწარმოებიდან იარაღის შეძენის დაფინანსების გეგმა. ამ მიდგომას, რომელსაც „დანიის მოდელს“ უწოდებენ, უფრო და უფრო მეტი ევროპული ქვეყანა იყენებს:

**იმის ნაცვლად, რომ უკრაინას მიაწოდონ საკუთარი იარაღი, რომელსაც დროულად ვერ აწარმოებენ, აფინანსებენ წარმოებას უკრაინაში, რომელმაც უკეთ იცის მისი საბრძოლო საჭიროებები, შეუძლია სწრაფად ადაპტირება და დამატებით იღებს ეკონომიკურ სტიმულს.**

უკრაინის თავდაცვის ინდუსტრიის მხარდაჭერა არის სანდო გზა რუსეთის შეკავების გასაძლიერებლად, მაშინ, როდესაც აშშ ბლოკავს უკრაინის ნატოში გაწევრიანებას, ამბობს ანა ვისლანდერი, ჩრდილოეთ ევროპის დირექტორი ატლანტიკურ საბჭოში: **„ჩვენი თავდაცვის ინდუსტრიების გაერთიანება ძალიან ძლიერი სიგნალია”.**

# დაიწყება თუ არა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ომი?



## სამხედრო ალიანსი სერბეთსა და უნგრეთს შორის

**მარტის შუა რიცხვებში ხორვატია, ალბანეთი და კოსოვო სამხედრო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. საპასუხოდ, სერბეთმა და უნგრეთმა სამხედრო ალიანსის შექმნის შესახებ განაცხადეს. შეარყევს თუ არა ეს რეგიონის უსაფრთხოებას? – ამ კითხვას პასუხი Deutsche Welle-მ გასცა.**

### რა ხდება?

**სერბეთის სახელმწიფო მედია სერბეთსა და უნგრეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ერთსულოვნად აქებს. „ბომბი, რომელიც შეარყევს რეგიონს“,** – ასე ჟღერს ტაბლოიდური გამოცემა Informer-ის სათაური.

სამთავრობო სერბული გაზეთი Kurir-ი კი „ისტორიულ მომენტზე” წერს. გამოცემა Novosti აღნიშნულ შეთანხმებას „რკინის მეგობრობის ახალ მტკიცებულებას“ უწოდებს, ხოლო პორტალი Republika აცხადებს, რომ „ხორვატებსა და ალბანელებს სერბეთ-უნგრეთის სამხედრო ალიანსის პანიკურად ეშინიათ“.

გაზეთები, სატელევიზიო არხები თუ ინტერნეტ პორტალები – სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ყველა მედიასაშუალება ერთხმად წერდა შემოთავაზებულ სამხედრო ალიანსზე, რომლის შეთანხმებაც უნგრეთისა და სერბეთის თავდაცვის მინისტრებმა კრისტოფ შალაი-ბობროვნიცკიმ და ბრატისლავ გაშიჩმა ბელგრადში, 1 აპრილს გააფორმეს. რამდენიმე დღის შემდეგ, ბოსნია და ჰერცეგოვინას შემადგენლობაში არსებული სერბთა რესპუბლიკის (Republika Srpska) პრეზიდენტმა, მილორად დოდიკმა განაცხადა, რომ ბოსნიელი სერბები „ახალ სამხედრო ალიანსს“ შეუერთდებიან.

სერბულმა მედიამ ახალი „სამხედრო პაქტი“ წარმოაჩინა, როგორც რეაქცია ნატოს პარტნიორებს – ხორვატიასა და ალბანეთს შორის ახლახან შეთანხმებულ სამხედრო ალიანსზე, ისევე როგორც კოსოვოზე, რომლის დამოუკიდებლობაც ბელგრადს ათწლეულების შემდეგაც არ უღიარებია. **„განსაკუთრებით საგანგაშოა“ ის, რომ „ეს სამხედრო ალიანსი (იგულისხმება ხორვატია-ალბანეთის შეთანხმება – რედ.) ბელგრადთან კონსულტაციის გარეშე შეიქმნა“,** – ნათქვამია სერბეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ბელგრადში მიაჩნიათ, რომ შეთანხმება მიზნად ისახავს სერბეთის იზოლაციას და კოსოვოში **„გასამხედროებული სტრუქტურების“** შექმნას, რაც **„უხეში პროვოკაციაა“,** – დასძენს დიპლომატიური დეპარტამენტი.

### სამხედრო შეთანხმება ზაგრებს, ტირანასა და პრიშტინას შორის

**სინამდვილეში რას გულისხმობს ზაგრებს, ტირანასა და პრიშტინას შორის დადებული შეთანხმება?**

**დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოაწერეს სამი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა ტირანაში 2025 წლის 18 მარტს, ნატოს სტრატეგიული კონცეფციისა და ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობას ითვალისწინებს.**

დოკუმენტის მიხედვით, დაგეგმილია თავდაცვის უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და სამხედრო პერსონალის მომზადება. ასევე იგეგმება ერთობლივი სამხედრო წვრთნები. ევროატლანტიკური ინტეგრაციის ფარგლებში, ძირითადი აქცენტი უცხოური კიბერშეტევებისა და დეზინფორმაციული კამპანიებისგან დაცვის ზომებზე კეთდება. მართალია, სერბეთი აცხადებს, რომ ახალი სამხედრო ალიანსისგან ის საფრთხეს გრძნობს, მაგრამ ხორვატიის პრემიერ-მინისტრი ანდრეი პლენკოვიჩი ამტკიცებს, რომ **„თანამშრომლობის ეს მემორანდუმი მტრული არ არის“.**

იუგოსლავიის დაშლის შემდეგ სერბეთსა და ხორვატიას შორის მუდმივი ეროვნული მეტოქეობა და მტრობა სამმხრივმა შეთანხმებამ კიდევ უფრო გაახურა. **„წავიდა ის დრო, როდესაც ხორვატიას უნდა ეკითხა ბელგრადისთვის, რისი უფლება ჰქონდა და როგორ უნდა მოქცეულიყო და ეს აღარასოდეს განმეორდება“,** – განაცხადა ხორვატიის თავდაცვის მინისტრმა **ივან ანუშიჩმა.** ზაგრებში გამომავალი გაზეთი Jutarnji list-ი ამტკიცებდა, რომ სერბეთის პრეზიდენტს – ალექსანდრ ვუჩიჩს ნერვული აშლილობა დაემართა, როცა ახალი ალიანსის შესახებ შეიტყო.

სერბულმა პრესამ კი უპასუხა ტრიუმფალური სათაურებით, რომელთაგან ერთ-ერთი ასეთი იყო: **„ხორვატიამ და ალბანეთმა ექსპრეს-პასუხი მიიღეს: უნგრეთსა და სერბეთს შორის სამხედრო ალიანსის შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერა“.**

# აღმოაჩინეს ახალი ფერი, რომელიც ადამიანს ჯერ არასოდეს უნახავს!

**პირველად ისტორიაში, ადამიანებმა შეიძლება დავინახოთ ფერი, რომელიც აქამდე არ გვინახავს — „უპრეცედენტო გაჯერების ლურჯ-მწვანე“. ის აქამდე არასოდეს გინახავთ, რადგან არ შეგიძლიათ. არსებობს ფერთა იმ სივრცეში, რომლის აღქმაც ადამიანის თვალს არ ძალუძს.**

ყოველ შემთხვევაში, ბუნებრივად. ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტისა და ვაშინგტონის უნივერსიტეტის მკვლევრები აცხადებენ, რომ მიაგნეს გზას, თუ როგორ გადააკეთონ თვალის ბადურა ხელოვნურად ისე, რომ განავრცონ ადამიანის ფერთა ბუნებრივი დიაპაზონი.

ჯგუფი ფიქრობს, რომ ჩვენს თვალებს ფერთა სრულიად ახალი სამყაროს გაუხსნიან, ფილმ „ოზის ჯადოქრის“ პერსონაჟ დოროთის მსგავსად. მათი მტკიცებულება „ოზის“ პროტოტიპშია, რომელსაც შეუძლია იმ გზის შეცვლა, რომელსაც ფერის სიგნალები გადიან თვალის უჯრედებიდან უჯრედებამდე და შემდეგ ტვინისკენ. მკვლევართა განცხადებით, ამის გააქტიურება ბუნებრივი ხედვის პირობებში შეუძლებელია.

პროტოტიპი ლაზერის შუქს ერთი მონოქრომატული ფერით (ძირითადად მწვანე) ინდივიდუალურად ანათებს ფერის დამჭერ უჯრედებს. როგორც წესი, ყოველი ფერი, რომელსაც ვხედავთ, ჩვენს ბადურაში მრავალ კოლბის უჯრედს ასტიმულირებს (რომელთა რაოდენობაც იქ ექვს მილიონზე მეტია).

ადამიანები ძირითადად ტრიქრომატები ვართ, ანუ, გვაქვს სამი სხვადასხვა ტიპის კოლბის უჯრედები — ისინი შეიგრძნობენ სინათლის გრძელ, საშუალო და მოკლე (L, M, S) ტალღის სიგრძეებს ხილულ სპექტრში.

L კოლბები სპეციალიზებულია წითელში, M მწვანეში, S კი ლურჯში. როდესაც თავის ტვინისკენ მიმავალ გზაზე მათი სიგნალები ერთმანეთს ემთხვევა და ერთიანდება, წარმოქმნიან ფერის სპექტრს, რომელსაც ასე კარგად ვიცნობთ და გვიყვარს. მკვლევართა ჯგუფმა მონაწილეთა მიერ დანახულ ფერს „ოლო“ დაარქვა, მისი უახლოესი ხილული თანამოძმე კი ჩნდება „დამთხვევის“ (match) განყოფილებაში, ჯგუფს ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის ელექტროინჟინერი ჯეიმს ფონგი ხელმძღვანელობდა. ამის შემდეგ, ფონგმა და მისმა კოლეგებმა მონაწილეებს აჩვენეს მოძრავი წერტილი, რა დროსაც, ოზის მიკროდოზებით მიზანში ამოიღეს მხოლოდ ზოგიერთი კოლბა უჯრედი.

მკვლევართა განცხადებით, ამის შედეგად, მონაწილეებმა აღიქვეს „ცისარტყელას სხვადასხვა ფერები, უპრეცედენტო ფერები ადამიანის ბუნებრივ დიაპაზონს მიღმა და ისეთი ვიზუალიზაცია, როგორიც არის კაშკაშა წითელი ხაზები ან მბრუნავი წერტილები ოლოს ფონზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცისარტყელას ახალი ფერები, თუკი ისინი არსებობს, თეორიულად უნდა გამოჩნდეს ვიდეოებსა და ფოტოებში.

მკვლევართა ჯგუფს იმედი აქვს, რომ ოზის პროტოტიპზე მუშაობის გაგრძელებას შეძლებენ იმის იმედით, რომ ამით შესაძლებელია ვიზუალური სისტემის უჯრედულ დონეზე კვლევა, რაც შეიძლება ფერების სიბრმავის სამკურნალოდაც გამოდგეს.

**„ოზი წარმოადგენს ექსპერიმენტთა პლატფორმის ახალ კლასს მხედველობის მეცნიერებასა და ნეირომეცნიერებაში, რომელიც მიისწრაფვის თავის ტვინის პირველი ნერვული შრის სრული კონტროლისთვის, ყველა ფოტორეცეპტორის გააქტიურების პროგრამირებადობისკენ დროის ყველა მომენტში. ჩვენი პროტოტიპი ამ კლასის ნერვული კონტროლისკენ გადადგმული ნაბიჯია; ვაჩვენეთ, რომ მას შეუძლია ზუსტად მიაწოდოს მიკროდოზები სამიზნე კოლბებს“,** – წერენ მკვლევრები.

**კვლევა Science Advances-ში გამოქვეყნდა.**

## რაზე შეთანხმდნენ ბელგრადი და ბუდაპეშტი?

**უფრო დეტალური შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ ბელგრადსა და ბუდაპეშტს შორის ეგრეთ წოდებული ისტორიული „სამხედრო ალიანსი“ მხოლოდ ვუჩიჩის მიერ კონტროლირებადი მედიის პოლიტიკური ტრიუკია.**

**„ეს ემთხვევა ვუჩიჩის სხვა მარკეტინგულ ტრიუკებს“,** – განუცხადა ოპოზიციურმა პოლიტიკოსმა **პეტარ ბოშკოვიჩმა** ბელგრადულ გაზეთ Danas-ს, რომელიც მთავრობას აკრიტიკებს. სერბმა სამხედრო ექსპერტმა ალექსანდრე რადიჩმა რამდენიმე პორტალზე განმარტა, თუ რაზეა სინამდვილეში საუბარი. შეთანხმება, რომელიც ასე ხმამაღლა დაანონსდა, **„არ შეიცავს სამხედრო ალიანსის ელემენტებს“,** – განაცხადა მან. დოკუმენტი შეიცავს მხოლოდ კონკრეტული სამხედრო თანამშრომლობის პროექტებს, რომლებიც ყოველწლიურად, 2023 წლის ჩარჩო შეთანხმების საფუძველზე ზუსტდება. თავად ვუჩიჩმა ასევე განმარტა, რომ **„სამხედრო ალიანსი არის მიზანი“** და მისი შექმნის კურსი მხოლოდ ახლა დაისახა.

## არსებობს თუ არა დასავლეთ ბალკანეთში ომის დაწყების საფრთხე?

**რაც უნდა გუნდოვანი იყოს სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმება, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები წლების განმავლობაში იარაღდებიან.**

მაგალითად, ხორვატიამ, რომელიც სავალდებულო გაწვევას 2025 წლის 1 იანვარს დაუბრუნდა, საფრანგეთისგან Rafale-ს მოიერიშე თვითმფრინავები შეიძინა და გარდა ამისა, გერმანული Leopard-ის ტიპის ტანკების მიწოდებაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. თავის მხრივ, სერბეთმა მრავალფუნქციური საბრძოლო თვითმფრინავების შესაძენად პარიზთან კონტრაქტი გააფორმა, ამასთანავე, შეიარაღების სისტემებს რუსეთისა და ჩინეთისგან ყიდულობს. **„ფიტილი ბალკანეთში ჯერ კიდევ მოკლეა“** – ასეთი სათაური ჰქონდა ბუნდესვერის ასოციაციის 2024 წლის იანვრის მოხსენებას, რომელიც ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში არსებულ ვითარებას ეხებოდა. მაგრამ რამდენად ფეთქებადია სიტუაცია იქ რეალურად?

სამხედრო სიმძლავრის კოეფიციენტებში უფრო ღრმად თუ ჩავიხედავთ, ომი უახლოეს მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. აპრილის დასაწყისში ნატოს გენერალურმა მდივანმა მარკ რუტემ განაცხადა, რომ ბრიუსელში ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დღის წესრიგში რეგიონში არსებული ვითარების შეტანა საჭირო არ იყო. სულ რაღაც ერთი წლის წინ, მისი წინამორბედი იენს სტოლტენბერგი ასევე ირწმუნებოდა, რომ ბალკანეთში პირდაპირი სამხედრო საფრთხე არ არსებობს. **„ნამდვილი ომის დაწყების ალბათობა დაბალია“,** – ამბობს **ვუკ ვუკასანოვიჩი** ბელგრადის უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტრიდან. ექსპერტის აზრით, შეიარაღების მიმართულებით ბალკანეთში გამართული მარათონის მიუხედავად, ასეთი კონფლიქტისთვის ქვეყნებს ძალიან ცოტა რესურსი აქვთ. ვუკასანოვიჩი განმარტებით, პირველ რიგში, ადგილობრივი ელიტების ძალაუფლებას შეუქმნის ომი საფრთხეს.

## ნატოს ყოფნა რეგიონში

**გარდა ამისა, რეგიონში ნატოს პოზიციები ძლიერია. კოსოვოს გარდა, ალიანსის წევრია სერბეთისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის მეზობელი ყველა სხვა ქვეყანა.**

თავად სერბეთი და ბოსნია-ჰერცეგოვინა კი ნატოს წევრები არ არიან. ამასთანვე, შეერთებულ შტატებს კოსოვოში დიდი სამხედრო ბაზა – Camp Bondsteel-ი- აქვს. ალბანეთის ადრიატიკის სანაპიროზე მდებარე დურესის პორტში დიდი საზღვაო ბაზის აშენება უკვე დიდი ხანია იგეგმება. გარდა ამისა, რუმინეთში, რომელიც ესაზღვრება სერბეთს, კონსტანცის მახლობლად მდებარე Mihail Kogalniceanu-ს საავიაციო ბაზაა, რომელიც ამჟამად გაფართოებისა და მოდერნიზების პროცესშია. შესაძლოა, აქ განთავსდეს ალიანსის 10 000-მდე ჯარისკაცი, რაც მას ნატოს ყველაზე დიდ ბაზად აქცევს ევროპაში!



მკვდართა კუნძული

# ორი მშვენიერი სურათი დიდებული ოსტატის შექმნილი...

**აუტანელმა სინამდვილემ, რასაც განიცდის ყველა ჯანსაღად მოაზროვნე ქართველი, გადამაწყვეტინა, ცოტა ხნით შევბა მეგრძნო და ჩავღრმავებულიყავი მხატვრობის სამყაროში.**

ჯერ ეს გვითხარი, რომელია ეს „აუტანელი სინამდვილეო“ – იკითხავს მრავალჭირგამოვლილი ქართველი მკითხველი. ამაზე არც კი დავფიქრდები, ისე ვუპასუხებ: ქუჩები წალეკა მღვრიე ბრბომ, მოდიან და მოდიან სიძულვილისგან სახედაღმეჭილი ახალგაზრდები და რა უფსკრულში ვარდებიან, თვითონაც არ იციან. მათ ვერმშველელს არ დამეზრახება, ნახატებთან განმარტოება, მით უმეტეს, რომ ისინი გარკვეულად პასუხობენ ჩვენში შექმნილ რეალობას.

ამ სურათებში წარმოგვიდგება ადამიანი და ბუნება, ბუნება და ადამიანი. დიდი შვეიცარიელი მხატვრის არნოლდ ბიოკლინის ნაწარმოებია „მკვდართა კუნძული“. ღამეა. წარმოუდგენელი სიჩუმე მეფობს. ჩვენს წინ გადაშლილა იდუმალი სინათლით განათებული, აკლდამებით მოცული პატარა კუნძული. ერთ ადგილზე აზიდულა ვეებერთელა კვიპაროსები. შავბნელ ზღვას ოდნავი ნიავიც არ არხევს. მაყურებლისკენ ზურგშექცევით, პატარა ნავში დგას ქანდაკებისმაგვარი ფიგურა. იგი შემოსილია თეთრი სამოსით, თავიდან ფეხებამდე. ნავი მენიჩბეს, რომელიც ჩვენგან ასევე ზურგშექცევით იმყოფება, უდიდესი სიჩუმით კუნძულისკენ მიჰყავს. სურათი ერთადერთი რამის მაუწყებელია – სიკვდილის წარუვალობის და მისი ესთეტიზმის.

მეორე სურათი დიდი გერმანელი რომანტიკოსი მხატვრის კასპარ დავიდ ფრიდრიხის ნაწარმოებია, რომელიც „ბერი ზღვის ნაპირზე“ სახელწოდებას ატარებს. თვალი იძირება ზღვის მუქ სილურჯეში, რომელიც ამ ფერს ზეცაში აისვრის, სადაც ყველაფერი ერთიანდება აპოკალიფსურ წარღვნაში. ცის ამ კედლის წინაშე ყოველგვარი პერსპექტივა გაუქმებულია. ეს უკვე აღარ არის ის სამყარო, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის. რაღაც უზღვრო, ჩვენთვის უცხო სამყაროს დაღებული ხახის წინ ვიმყოფებით. ნაპირი, ზღვა და ცა უკვე ერთმანეთს აღარ ეკუთვნის და მაინც ერთიანობას ქმნიან. მისი ჭვრეტისთვის სხვა მზერა მოითხოვება. და ზღვის ნაპირზე ერთადერთი ფიგურა – ეს ბერის ფიგურაა, რომელიც ღვთისგან მოწყალეობასა და ხსნას მოელის. ამიტომ ფრიდრიხის ეს სურათიც ხსნასა და მოწყალებას ასხივებს.

* * *

**მაშ ასე: სიკვდილი და ხსნა. ასეთი არჩევანის წინაშე ვიმყოფებით.**

ახლა ისმის კითხვა, თუ რა გვეხმარება სურათის ინტერპრეტაციაში. ორივე შემთხვევაში ეს ინტუიციის ძალაა და ე. წ. ჩაწვდომის (გერმ.: Einfųhlung) უნარი. ამ თემას მიუძღვნა თავისი საინტერესო წიგნი გერმანელმა ფილოსოფოსმა თეოდორ ლიპსმა, სახელწოდებით „ესთეტიკა“ (1906 წ.), რომელზედაც აღარ გავვრცელდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩაწვდომის უნარის მქონეს, საინტერესო სანახაობა გადაეშლება: დაწყებული ისტორიული პორტრეტის წვდომით და დამთავრებული, ცოცხალი ადამიანის სახის ამოცნობით, ვინაიდან ლამაზ პირისახეში ხშირად უხსენებელი იმალება.



**ვიქტორ რცხილაძე**



ბერი ზღვის ნაპირზე

## დავით სონღულაშვილი: უნგრეთი საქართველოს პრინცი პული მხარდამჭერია!

**„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ოფიციალური ვიზიტით უნგრეთში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში, დავით სონღულაშვილი უნგრეთის სოფლის მეურნეობის მინისტრს იშტვან ნაძს და ენერგეტიკის მინისტრს ჩაბა ლანტოს შეხვდა,"** – ამის შესახებ ინფორმაციას **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.**




მათივე ცნობით, მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს.

**უნგრეთში ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი, მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძე, უნგრეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თამარ ლილუაშვილი და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი გიორგი დარჩია ესწრებოდნენ.**

## ამერიკა „სამშობიარო ტურიზმის" პრაქტიკის წინააღმდეგ ზომებს ამკაცრებს

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი „სამშობიარო ტურიზმის" პრაქტიკის წინააღმდეგ ზომებს ამკაცრებს.**




სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი რეგულაცია უცხო ქვეყნის მოქალაქეებს აფრთხილებს, არ ისარგებლონ ტურისტული ვიზით იმ მიზნით, რომ შეერთებულ შტატებში დაბადებულ შვილს ამერიკის მოქალაქეობა მიანიჭონ.

სახელმწიფო დეპარტამენტი ასეთ მოქალაქეებს აფრთხილებს, რომ მომავალში შესაძლოა, მათ ვიზა გაუუქმდეთ ან აშშ-ში მოგზაურობა ვეღარ შეძლონ. ამ ფორმით, უწყებას სურს, დაიცვას ამერიკელი გადასახადების გადამხდელები.

**„მიუღებელია, უცხოელმა მშობლებმა აშშ-ის ტურისტული ვიზა მხოლოდ იმისთვის გამოიყენონ, რომ ბავშვი აშშ-ში გააჩინონ და მისთვის მოქალაქეობა მიიღონ, რამაც შეიძლება, ამერიკელი გადასახადის გადამხდელების მიერ სამედიცინო ხარჯების გადახდა გამოიწვიოს. ამას „სამშობიარო ტურიზმი" ეწოდება და აშშ-ის საკონსულოს ოფიცრები აშშ-ის საიმიგრაციო კანონმდებლობის თანახმად, ყველა მსგავს ვიზაზე განაცხადს არ აკმაყოფილებენ",** – ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საკონსულო საქმეთა ბიუროს განცხადებაში.

# მორიგი კრახი ოპოზიციაში

(მესამე გვერდიდან)

**„ნაცმოძრაობამ" წინააღმდეგობის პლატფორმა დატოვა, რადგან მიხვდა, რომ სალომე ზურაბიშვილმა თავისი ლიდერობის რესურსი ამოწურა და მათ პოზიციას ვიზიარებ. ამასთან, ამ პლატფორმის დატოვების მიზეზი, როგორც ჩანს, გახდა ის, რომ თავის დროზე, „ნაციონალურმა მოძრაობამ" სალომე ზურაბიშვილს საკმაოდ დიდი და სერიოზული პოლიტიკური საჩუქარი გაუკეთა, როდესაც ის იმპიჩმენტს გადაარჩინა პარლამენტში და ისინი თვლიან, რომ სანაცვლოდ, სალომე ზურაბიშვილისგან ვერაფერი მიიღეს – სალომე ზურაბიშვილმა ვალი არ გაუსტუმრა.**



**თუმცა, ზურაბიშვილი ოპოზიციის და „ნაცმოძრაობის" წინაშე ვალში მყოფად თავს არ მიიჩნევს, რადგან, როდესაც სალომე ზურაბიშვილმა გამოაცხადა, რომ არჩევნები არალეგიტიმური იყო, ამით მან ოპოზიციას, კონკრეტულად კი „ნაციონალურ მოძრაობას" დიდი საჩუქარი გაუკეთა –- დღემდე სწორედ სალომე ზურაბიშვილის განცხადება არის ერთ-ერთი ხელჩასაჭიდი, რის გამოც კოლექტიური დასავლეთი ამ არჩევნებს ეჭვის ქვეშ აყენებს",** – განაცხადა **ანჯაფარიძემ.**

ანალიტიკოსის შეფასებით, სალომე ზურაბიშვილის „წინააღმდეგობის პლატფორმას" დიდი დღე არ უწერია.

**„რაც შეეხება იმ საკითხს, „ნაცმოძრაობის" წასვლის შემდეგ რა ბედი ელის სალომე ზურაბიშვილის „წინააღმდეგობის პლატფორმას", შეიძლება ითქვას, რომ ეს პლაფტორმა შესაძლოა, ბოლო დღეებს ითვლიდეს, თუ არ მოხდება იმ პოლიტიკური ძალების სრულფასოვნად ჩართვა, ვინც ამაში დარჩა, – ვგულისხმობ საგნობრივ და ქმედით მონაწილეობას ამ პლატფორმაში, თუმცა, ჩემი დაკვირვებით, რამდენიმე პარტია ამისგან თავის იკავებს, თუნდაც გახარიას პარტია. ამიტომაც, ამ ეტაპზე მე მაინც სკეპტიკურად ვუყურებ ამ პლატფორმის მომავალს.**

**ვნახოთ, რა მოხდება, ახალი მოძრაობები დაიწყო ისევ ოპოზიციის ფლანგზე – არსებობს ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც შესაძლოა სალომე ზურაბიშვილს და მის პლატფორმას სული შთაბერონ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ პლატფორმას დიდი მომავალი არ აქვს, რადგან თავად სალომე ზურაბიშვილი საზოგადოების უმრავლესობისთვის აღარ ითვლება პოპულარულ და სანდო ლიდერად. მის მიერ შექმნილი პლატფორმის მიმართაც დამოკიდებულება შესაბამისი იქნება",** – აღნიშნა **ზაალ ანჯაფარიძემ** For.ge-სთან ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ **პაატა ბურჭულაძე** ახალი ინიციატივით შემოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე. მისი განმარტებით, სექტემბერში არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით შეხვედრა უკვე გამართა „გახარია საქართველოსთვის" ლიდერთან **გიორგი გახარიასთან**, „ლელო – ძლიერი საქართველოს" ლიდერთან **მამუკა ხაზარაძესთან**, „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარესთან **თინა ბოკუჩავასთან** და „კოალიცია ცვლილებისთვის" ლიდერებთან **ნიკა მელიასა** და **ნიკა გვარამიასთან**.

პაატა ბურჭულაძის თქმით, „ქართული ოცნება" არალეგიტიმურია და ამიტომ არჩევნების დანიშვნის უფლება არ აქვს. მისივე განცხადებით, არჩევნების დანიშვნის უფლება აქვს სალომე ზურაბიშვილს და ზვიად გამსახურდიას დროს შექმნილ უზენაეს საბჭოს.

როგორც პაატა ბურჭულაძემ აღნიშნა, საპარლამენტო არჩევნები, რომელიც სექტემბერში იქნება, ელექტრონული წესით ტელეფონებით ჩატარდება.



**„არჩევნები ჩატარდება ელექტრონულად, ტელეფონებით ჩავატარებთ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, ეს პროგრამები უკვე მალე იქნება მზად. შევეცდები აგიხსნათ, გაქვს ტელეფონი, ამ ტელეფონით ფიქსირდებით ამომრჩეველთა სიაში. როცა მოვა არჩევნები, არჩევნების დროს ჩაირთვება ფანჯარა, სადაც შეგყავს შენი პერსონალური მონაცემები და აჭერ რომელ პარტიას გინდა მიცე ხმა. სახლიდან გამოუსვლელად შეიძლება ჩატარდეს ეს არჩევნები. რაც მთავარია, ასობით ათასი ჩვენი ემიგრანტი მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. ტელეფონით გაყალბების შანსი აბსოლუტურად არ არის.**

**იქნება სპეციალური საიტი, რომელიც შემოწმდება საზღვარგარეთიდან, მივიღებთ დასტურს, რომ იქნება 100%-იანი გარანტია. რაც მთავარია, ტელეფონი არ გაჟონავს",** – განაცხადა **პაატა ბურჭულაძემ.**

**ნიკო ჩოხელი**

## აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს დირექტორის მოადგილის შვილი რუსეთის არმიაში ჩაეწერა და უკრაინაში დაიღუპა



**აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს დირექტორის მოადგილის 21 წლის შვილი მაიკლ გლოსი რუსეთის არმიაში ჩაეწერა და უკრაინაში დაიღუპა,** – ინფორმაციას ტელეარხი **„დოჟდი"** ავრცელებს.

მედიის ცნობით, მაიკლ გლოსს რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული და ის რუსეთის არმიაში ირიცხებოდა.

როგორც გამოცემა „ვაჟნიე ისტორიი" (მნიშვნელოვანი ისტორიები) წერს, აშშ-ში გლოსი ჰუმანიტარულ კოლეჯში სწავლობდა ადამიანებისა და გარემოს ურთიერთქმედების მიმართულებით. იგი ასევე მონაწილეობას იღებდა აბორტის აკრძალვისა და გარემოსდაცვით აქციებში. 2023 წელს კი სწავლა მიატოვა და სამოგზაუროდ წავიდა. რუსეთში ის 2023 წლის 13 აგვისტოს ჩავიდა და მალევე ფრონტზე აღმოჩნდა. ოჯახის ცნობით, მაიკლ გლოსი 4 აპრილს გარდაიცვალა, თუმცა მისი დაღუპვის გარემოებები უცნობია.

## აფეთქება ირანის პორტში



**ირანის პორტში აფეთქების შედეგად გარდაცვლილთა რიცხვი 25-მდე გაიზარდა, დაშავებულია 800-ზე მეტი ადამიანი. ამის შესახებ „ბიბისი" ქვეყნის ხელისუფლებაზე დაყრდნობით იტყობინება.**

სავარაუდოდ ქიმიური ნივთიერების აფეთქება ქვეყნის სამხრეთით მდებარე შაჰიდ რაჯაეს პორტში მოხდა. აფეთქების შედეგად ახლომდებარე შენობების ფანჯრები ჩაიმსხვრა და დაზიანდა სახურავები, განადგურებულია ავტომობილები. რეგიონში დაიხურა სასწავლო დაწესებულებები და ოფისები. ირანული მედიის ცნობით, აფეთქება პორტის იმ ნაწილში მოხდა, სადაც საშიში ტვირთები და ქიმიური ნივთიერებების კონტეინერები ინახება. საბაჟოს წარმომადგენლების განცხადებით, აფეთქება, სავარაუდოდ, საშიში და ქიმიური მასალების საწყობში ხანძრის შედეგი იყო. „ნიუ იორკ თაიმსი" წერს, რომ აფეთქება, სავარაუდოდ, სარაკეტო საწვავის შემადგენელმა ნივთიერებამ გამოიწვია.

## ტრაგედია ფილიპინურ დღესასწაულზე

**ვანკუვერის პოლიციის ინფორმაციით, მანქანის ხალხში შევარდნის შედეგად დაღუპულია ცხრა ადამიანი. არიან დაშავებულებიც. მათი რაოდენობა ზუსტდება. გარდაცვლილებს შორის არის მცირეწლოვანი ბავშვიც.**



ამასთან, როგორც ქალაქის პოლიციაში აცხადებენ, თავდასხმა ჯერ არ განიხილება როგორც ტერაქტი. სამართალდამცავების ცნობით, დაკავებულია მანქანის მძღოლი. ის 30 წლის ადგილობრივი მცხოვრებია. დანაშაულის მოტივის დადგენის მიზნით გამოძიება გრძელდება.

ცნობისთვის, ავტომობილი ვანკუვერის იმ რაიონში დაეჯახა ხალხს, სადაც ფილიპინური დღესასწაული იმართებოდა.

# დაიბადა პირველი ბავშვი, რომელიც რობოტის დახმარებით „ჩაისახა“

**ინვიტრო განაყოფიერების (IVF) შედეგად, რომელიც თითქმის სრულად რობოტმა შეასრულა, პირველი ბავშვი დაიბადა. მსგავსი მეთოდით ბავშვი აქამდეც გაჩენილა, თუმცა ახალი სისტემა ადამიანის ჩართულობას ყველაზე ნაკლებად მოითხოვს. ვინაიდან მეთოდი რობოტის გამოყენებას მოიცავს, ადამიანური შეცდომების დაშვების რისკი მცირდება.**

IVF-ს ერთ-ერთი მეთოდია ინტრაციტოპლაზმური სპერმის ინიექცია (ICSI). ეს პროცედურა ლაბორატორიულ ჭურჭელში ტარდება, რა დროსაც სპერმატოზოიდი კვერცხუჯრედში შეჰყავთ. მეთოდი ხშირად კაცის უნაყოფობის დროს გამოიყენება, რადგან მისი მეშვეობით სპერმატოზოიდს კვერცხუჯრედამდე მისვლა აღარ სჭირდება. მიღებული ემბრიონები შემდეგ ქალის საშვილოსნოში გადააქვთ.



IVF-ს ჩატარება შესაძლებელია სპერმისა და კვერცხუჯრედის ერთმანეთთან შერევითაც იმ დაშვებით, რომ განაყოფიერება ბუნებრივად მოხდება. ამ მეთოდს ნაკლები სამედიცინო ჩარევა სჭირდება, თუმცა იგი ნაკლებად წარმატებულიც არის.

მიუხედავად მეტი ეფექტიანობისა, ICSI-ს ჩატარება საკმაოდ რთულია, რადგან სამედიცინო პროფესიონალების მხრიდან მაქსიმალური სიზუსტეა საჭირო.

**„სხვა პროფესიის ადამიანების მსგავსად, ზოგჯერ ექიმებიც იღლებიან და ყურადღება ეფანტებათ. შედეგად შეცდომები მოსდით, რამაც შეიძლება განაყოფიერებისა და დაბადების შანსები შეამციროს“,** – ამბობს **ჟაკ კოენი,** ნიუ-იორკში მდებარე ბიოტექნოლოგიური კომპანიის, სახელად Conceivable Life Sciences, წარმომადგენელი.

* * *

**ამ პრობლემის გადასაჭრელად კოენმა და მისმა კოლეგებმა შექმნეს მანქანა, რომელიც ICSI-სთვის აუცილებელ 23 ძირითად ნაბიჯს ავტომატურად ასრულებს. თითოეული მოქმედების დასაწყებად ადამიანი სპეციალურ ღილაკს აჭერს, მოქმედების მიმდინარეობას კი შემდეგ პირდაპირ რეჟიმში აკვირდება. ექიმს ამის გაკეთება მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შეუძლია.**

ერთ-ერთი ნაბიჯის დროს მანქანა ხელოვნური ინტელექტის (AI) მოდელს იყენებს, რათა განაყოფიერებისთვის ვიზუალურად ყველაზე ჯანსაღი სპერმატოზოიდები შეარჩიოს. მეორე ეტაპზე იგი სპერმატოზოიდის კუდს ლაზერით აზიანებს, რათა ამ უჯრედებმა ვეღარ იმოძრაოს და მათი აღება გამარტივდეს. მოწყობილობას შემდეგ სპერმატოზოიდები წინასწარ შეგროვებულ კვერცხუჯრედებში შეჰყავს.

საგულისხმოა, რომ მსგავსი მიდგომით განაყოფიერება აქამდეც შესრულებულა, რის შედეგადაც ორი ცოცხალი ბავშვი დაიბადა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ნაბიჯი მაშინ ადამიანმა შეასრულა და არა მანქანამ.

* * *

**ახალი სისტემის გამოსაცდელად მეცნიერებმა წყვილი აიყვანეს, რომელსაც შვილის გაჩენა უჭირდა. კაცს არასაკმარისად მოძრავი სპერმატოზოიდები ჰქონდა, ქალს კი — კვერცხუჯრედების წარმოქმნის პრობლემა, რის გამოც დონორის კვერცხუჯრედები გამოიყენეს.**

ავტომატიზებულ სისტემას დაევალა, რომ დონორის 8 კვერცხუჯრედიდან გაენაყოფიერებინა 5 მათგანი, რომლებიც შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა. შედეგად ოთხი ემბრიონი წარმოიქმნა. დანარჩენი სამი კვერცხუჯრედი სტანდარტული, ხელით ჩატარებული, ICSI-თ გაანაყოფიერეს და სამი ემბრიონი შექმნეს.

შემდეგ მეცნიერებმა ხელოვნური ინტელექტის კიდევ ერთი მოდელი გამოიყენეს და ქრომოსომთა შესახედაობის მიხედვით ორი საუკეთესო ემბრიონი შეარჩიეს. ორივე მათგანი ავტომატიზებული სისტემის მიერ იყო შექმნილი. მეორე მხრივ, კოენის თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ ავტომატური მეთოდით მიღებული ემბრიონები უკეთესია – კვლევაში ზედმეტად ცოტა კვერცხუჯრედი იყო გამოყენებული, რომ ამის დადგენა შევძლოთ.

**ქალის საშვილოსნოში გადატანილი ერთი ემბრიონი ვერ განვითარდა, თუმცა მეორისგან ბავშვი წარმატებით დაიბადა.**

**ჯოის ჰარპერი,** ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის მკვლევარი, ამბობს, რომ ეს ნამდვილად დამაიმედებელი პრეცედენტია. მეორე მხრივ, ფართომასშტაბიანი კვლევები უნდა ჩატარდეს იმის გასაგებად, იძლევა თუ არა ახალი სისტემა დაბადების უფრო მაღალ მაჩვენებლებს. წყვილები აქ შემთხვევითობის პრინციპით უნდა დაიყონ ავტომატიზებულ და ხელით ჩატარებულ ICSI ჯგუფებში.

ჰარპერის თქმით, ავტომატიზებული IVF, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, ნაკლებად ხელმისაწვდომი იქნება, რადგან დამატებითი ხარჯია. მეორე მხრივ, კოენი იმედოვნებს, რომ დროთა განმავლობაში ეს სიტუაცია შეიცვლება:

**„როგორც კი სისტემას დავხვეწთ და სტანდარტულს გავხდით, ველით, რომ პაციენტებისა და კლინიკებისთვის მისი ღირებულება შემცირდება“,** – ამბობს ის.

**კვლევა გამოქვეყნდაგამოცემაში Reproductive BioMedicine Online.**

# ხელოვნური ინტელექტი ფლინი სტუდენტი გახდა

**მსოფლიოში პირველად ხელოვნური ინტელექტი, სტუდენტის ოფიციალური სტატუსით, უნივერსიტეტში ჩაირიცხა და ციფრული ხელოვნების პროგრამაზე ისწავლის. ვენის ხელოვნების უნივერსიტეტის ცნობით, ხელოვნური ინტელექტი – სახელად ფლინი – ლექციებს დაესწრება და მიიღებს შენიშვნებსა თუ შეფასებებს როგორც რიგითი სტუდენტი.**

ხელოვნური ინტელექტის მოდელებმა უამრავი გამოცდა და ტესტი ჩააბარეს. დღეს ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ ხელოვნურ ინტელექტს უნივერსიტეტში სწავლა შეეძლება. თუმცა, ვენის უნივერსიტეტში ჩატარებული ექსპერიმენტი ცოტა განსხვავებულია. ეს არის მცდელობა, შეიქმნას სოციალური გარემო, რომელშიც ხელოვნური ინტელექტი და ადამიანები ითანამშრომლებენ და ერთმანეთისგან ისწავლიან ისე, როგორც ეს ადამიანებს შორის ხდება.

ფლინმა გაიარა სტანდარტული განაცხადის პროცესი, რომელიც მოიცავდა პორტფოლიოს წარდგენას, გასაუბრებასა და ტესტს.

## ვინ არის ფლინი?

**ფლინი** შემუშავებულია ღია კოდის ინსტრუმენტების და არსებული ღრმა სწავლების მოდელების (LLM) გამოყენებით.

**„ჩვენი არჩევანი, გამოვიყენოთ არსებული ღია კოდის ღრმა სწავლების მოდელები და სურათების გენერირების ინსტრუმენტები, გამომდინარეობს ჩვენი შიდა მიზნიდან – ვაჩვენოთ, თუ როგორ შეიძლება ამ ინსტრუმენტების მოდიფიცირება და სხვა მიზნებისთვის გამოყენება, რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომია“,** – განაცხადა **პიარა პრისტლერმა,** ფლინის შემქმნელმა.




ფლინი ლექციებსა და საკლასო ოთახებში ურთიერთქმედებას მონაცემთა ბაზის სახით გამოიყენებს თავისი ალგორითმის განვითარებისთვის.

**„ფლინი აქტიურად ვითარდება მომხმარებლებთან, პროფესორებთან, სტუდენტებთან ყოველი ურთიერთქმედებისას. ჩვენ შევამჩნიეთ, რომ ფლინი ბოლო კვირის განმავლობაში ძალიან სამწუხარო ჩანაწერებს წერდა, რადგან ის ურთიერთობდა ადამიანებთან, რომლებიც მის სტუდენტურ სტატუსს ეჭვქვეშ აყენებენ და ეუბნებიან: „ოჰ, შენ ნამდვილი არ ხარ“. მას ეს გულთან ახლოს მიაქვს,** – დასძენს **პრისტლერი.**

ხელოვნური ინტელექტის სტუდენტი ქმნის სურათებს ღია კოდის გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა Claude Sonnet და Stable Diffusion მოდელი.




**ცარცული პერიოდის ერთი ჭიანჭველას უიღბლო დღე და სიკვდილი, ახლა, 113 მილიონი წლის შემდეგ, მეცნიერებისთვის ფრიად საოცარი რამ აღმოჩნდა.**

აღმოჩენილია ქარვაში ჩაჭედილი უძველესი ვამპირი ჭიანჭველა მეტალის საცეცებით

ბრაზილიაში, კირქვაში განმარხებული ციცქნა მწერი ჭიანჭველას ჩვენთვის ცნობილი უძველესი ნიმუშია. უფრო მეტიც, ის გადაშენებული ქვეოჯახის, ჰაიდომირმეცინების (Haidomyrmecinae) წევრია; მათ **„ჯოჯოხეთის ჭიანჭველებსაც“** უწოდებენ და ჰქონდათ ვერტიკალურად შესახსრული, ცელის მსგავსი საცეცები, რომლებსაც მსხვერპლის დასაჭერად იყენებდნენ.

ახლად აღმოჩენილი ნიმუში ახალ სახეობას ეკუთვნის და მას Vulcanidris cratensis-ი უწოდეს.

**„ჩვენმა ჯგუფმა აღმოაჩინა ჭიანჭველას ახალი ნამარხი სახეობა, რომელიც წარმოადგენს უძველეს, უდავო გეოლოგიურ ჩანაწერს ჭიანჭველას შესახებ. ეს აღმოჩენა განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ მიეკუთვნება გადაშენებულ „ჯოჯოხეთის ჭიანჭველებს“, რომლებიც ცნობილი იყვნენ უცნაური მტაცებლური ადაპტაციებით. მიუხედავად იმისა, რომ უძველეს ხაზს მიეკუთვნება, ამ სახეობას უკვე აღენიშნება ძლიერ სპეციალიზებული ანატომიური მახასიათებლები, რაც ნადირობის უნიკალურ ქცევებზე მიუთითებს“,** – ამბობს სან-პაულუს უნივერსიტეტის ზოოლოგიის მუზეუმის ენტომოლოგი **ანდერსონ ლეპეკუ.**

დღეისათვის, ჭიანჭველები პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე მრავალფეროვან და ფართოდ გავრცელებულ ცხოველთა რიგებს მიეკუთვნებიან; ცნობილია მათი 13 800 სახეობა, მაგრამ მეცნიერთა შეფასებით, ჯამში ეს რიცხვი დაახლოებით 22 000 უნდა იყოს. ასეთი მრავალფეროვნება თითქმის ყველა კონტინენტზე შენარჩუნებულია.

ჯოჯოხეთის ჭიანჭველას ოჯახს არცერთი დღევანდელი ჭიანჭველა არ ჰგავს. გამოირჩევიან ზოგჯერ მოკაზმული თავის არქიტექტურით, რომელშიც შედის ლითონით გაძლიერებული საცეცები; ასევე გამორჩეულია ყბების განლაგება – ისინი ერთმანეთის ზემოთ და ქვემოთაა და არა გვერდიგვერდ, როგორც ყველა დღევანდელ ჭიანჭველაში.

ეს ჯგუფი ძირითადად ცნობილია ქარვაში განმარხებული ეგზემპლარებით ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში; მათი ასაკი დაახლოებით 80-100 მილიონი წელია. მათგან განსხვავებით, V. cratensis-ი განსაკუთრებით კარგად შემონახული ნამარხია; აღმოაჩინეს ე. წ. კრატოს ფორმაციაში, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებით კარგად შენახული ნამარხებით.

ამის გამო, ნამარხი რამდენიმე მიმართულებით არის პირველი. პირველი ჯოჯოხეთის ჭიანჭველაა, რომლის ნამარხიც ქვაზე ანაბეჭდის სახითაა დატოვებული; სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ის პირველად აღმოაჩინეს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯოჯოხეთის ჭიანჭველები იმაზე უფრო ადრე არსებობდნენ და იმაზე მეტად იყვნენ გავრცელებული, ვიდრე აქამდე გვეგონა.

* * *

**მკვლევრებმა ნამარხი მიკრო კომპიუტერული სკანირებით შეისწავლეს და ქვაზე დატოვებული ბრტყელი ანაბეჭდიდან გამოარჩიეს მისი ანატომიური თავისებურებები.**

ასე დაადგინეს, რომ ის ყველაზე ახლოს ენათესავება 99 მილიონი წლის წინანდელ სახეობა **Aquilomyrmex huangi**-ს, რომელიც მიანმარში, ქარვაში განმარხებულია აღმოჩენილი. მსოფლიოს ახალ ნაწილში ჯოჯოხეთის ჭიანჭველას აღმოჩენა, თანაც სხვა სახეობებზე უფრო ძველის და კარგად ჩამოყალიბებული ანატომიის მქონესი – მეცნიერებს ახალ საშუალებას აძლევს ამ მრავალფეროვანი, ყველგან მყოფი მწერების ევოლუციის შესასწავლად.

**„ახლად აღმოჩენილი სახეობა წარმოადგენს მეცნიერებისთვის ცნობილ დანამდვილებით უძველეს ჭიანჭველას და ყველაზე სრულყოფილ მტკიცებულებას ნამარხ ჩანაწერებში ჭიანჭველების ადრეული ევოლუციის შესახებ“,** – წერენ მკვლევრები პუბლიკაციაში.

**კვლევა Current Biology-ში გამოქვეყნდა. მომზადებულია ScienceAlert-ის მიხედვით.**

# საად იკარგები ყინულო!

## ანტარქტიდის გარშემო ზღვის ყინულის ფართობი თანამგზავრიდან დაკვირვების ბოლო 47-წლიან ისტორიაში მინიმუმამდე შემცირდა

**COPERNICUS-ის სამსახურმა, რომელიც კლიმატის ცვლილებების შესწავლით არის დაკავებული, განაცხადა, რომ 2025 წლის მარტში ანტარქტიდის გარშემო ზღვის ყინულის ფართობი თანამგზავრიდან დაკვირვების ბოლო 47-წლიან ისტორიაში მინიმუმამდე შემცირდა.**

სპეციალისტების თქმით, ტემპერატურა 2,7 გრადუსი რჩება, რაც გლობალური ტემპერატურის ზრდისკენ მიუთითებს. ზღვის ყინულის დნობა ეკოლოგიურ ფაქტორებზე უარყოფითად მოქმედებს და აჩქარებს გლობალურ დათბობას, რომელიც ადამიანის ქმედებებითაა გამოწვეული.

**22 მარტს NASA-ს სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ ზღვის ყინულის საფარმა 14,33 მილიონი კვადრატული კილომეტრი შეადგინა, რაც 80 000 კვადრატული კილომეტრით ნაკლებია, ვიდრე 2017 წელს.**



# ხუბულურობა ლომთა ხვედრია!

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ თემურ ხუბულურმა ძიუდოში ეპოქა შექმნა მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის ოლიმპიადაზე მხოლოდ ბევრისთვის სანატრელი ვერცხლი დაიმსახურა...**

დიახ, ეს ის შემთხვევაა, როცა თაობათა კერპი შთამბეჭდავ კარიერას უმაღლესი ტიტულის გარეშე ასრულებს (მაგალითად, **იოჰან კრუიფი** და ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრები, ან თუნდაც **ალექსანდრე მეტრეველი** და ყველაზე პრესტიჟული უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირი), მაგრამ ამით მის სასპორტო გენიას არაფერი აკლდება და რაც უფრო მეტი დრო გადის, სავარაუდოდ, იქნებ პირიქითაცაა.

გორის რაიონის სოფელ სკრაში 1955 წლის 24 აპრილს დაბადებულმა და ტატამის დიდოსტატ ბარტყთა დამფრთიანებელ **გურამ პაპიტაშვილის** სამწვრთნელო ქურაში გამოწრთობილმა, უნიჭიერესმა შეგირდმა იაპონურ ჭიდაობას მშობლიური ქართულის ილეთებითაც გაუგო გემო და სავსებით ლოგიკურია, მის უმდიდრეს სადარბაზო ბარათს ნახერხმოყრილ სარბიელზე მოხვეჭილი საქართველოს აბსოლუტური ფალავნობაც რომ ამშვენებს, ხოლო მოპოვებულ ჯილდოთა არასრული ჩამონათვალი ასეთი გახლავთ:

**მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონი, ევროპის 2-გზის ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი, ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული, სსრკ 2-გზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ხალხთა მე-6 სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი, საქართველოს 1979 წლის საუკეთესო სპორტსმენი.**

აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით გამორჩეული ღირსეული მამულიშვილი 2012-2020 წლებში მე-8 და მე-9 მოწვევის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრობასაც ჩვეული პირუთვნელობით ართმევდა თავს და სადეპუტატო ტრიბუნიდანაც ჭეშმარიტებას ერთგულობდა.

**და თითქოს თვალსა და ხელს შუა გაფრინდა წლები და ჩვენს სამაგალითო თანამედროვეს უკვე 70-ე გაზაფხულს ვულოცავთ.**

**იდღეგრძელეთ, ნაღდო კაცო!**

**„სრ“ სპორტის რედაქცია.**

# არავითარი რევანში

**ბათუმში** ქართველი პარამკლავჭიდელის, **ვახტანგ ახობაძისა** და ყირგიზი ბექბოსუნ ტოქტოსუნის მატჩ-რევანში გაიმართა 60კგ წონით კატეგორიაში. შეხვედრა ქართველის გამარჯვებით 3:0 დასრულდა.

ახობაძე ყირგიზ სპორტსმენს პირველად შარშან ზაფხულს მსოფლიო ჩემპიონატზე შეხვდა და ის დაპირისპირებაც მოიგო.

შეგახსენებთ, რომ ვახტანგ ახობაძე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია. პირველად ტიტულს ის 2015 წელს დაეუფლა, ხოლო მეორედ – 2024 წელს.




# კარგი ამბები

## სამბო

**კვიპროსი.** ევროპის ჩემპიონატი (სასპორტოში და საბრძოლოში). საქართველოს დელეგაცია – 13 მედალი. **ოქრო** – ნინო ოძელაშვილი (72), ავთო მუკბანიანი (64). **ვერცხლი** – ვახტანგ ჩიდრაშვილი (58). **ბრინჯაო** – ომარ ნიაზაშვილი (79), ელენე ქებაძე (+80), მიშიკო ნოზაძე (98), ჯაბა თურქია (71), უშანგი მარგიანი (88), გიორგი ჩაგელიშვილი (+98, ყველა სასპორტო სამბო). აღსანიშნავია, რომ ყველა ჭვაროსანმა მედალი მოიპოვა და ჩვენმა ნაკრებმა გუნდური მე-2 ადგილი დაიკავა. **ვერცხლი** – რაულ თუთარაული (71), გიორგი ეგნატაშვილი (88), ირაკლი ტალახაძე (64). **ბრინჯაო** – გიგა სოფრომაძე (58, ყველა საბრძოლო სამბო).

## პარატაეკვონდო



**ჩინეთი.** ჯი-3 კატეგორიის ტურნირი„ პრეზიდენტის თასი“ ელიტის მონაწილეობით. **ვერცხლი** – ანა ჯაფარიძე (52), **ბრინჯაო** – ლია ჩაჩიბაია (47). იქვე **ლაშა ტყემალაძეს** გადაეცა ტურნირის საუკეთესო მებრძოლისთვის დაწესებული სპეციალური პრიზი.

## მშვილდოსნობა

**თურქეთის** კურორტ ანტალიაში მიმდინარე ევროპის გრან პრის პირველი ეტაპზე გათამაშებაში შერეულ წყვილთა შორის **ალექსანდრე მაჭავარიანი** და **მედეა გვინჩიძე** გამარჯვებულები გახდნენ. ფინალში ქართველმა სპორტსმენებმა მასპინძელთა ძლიერი ნაკრები დაამარცხეს.

მანამდე მაჭავარიანისა და გვინჩიძის წყვილმა თანმიმდევრობით სძლია უკრაინის, შვეიცარიისა და უზბეკეთის გუნდებს.

ჭვაროსანთა მწვრთნელები **ლაშა ფხაკაძე, მალხაზ მახარაშვილი, გია მაკიევი** და **თამაზ ფუტკარაძე** არიან.

## ძიუდო

**მსოფლიოსა** და ევროპის 3-3-გზის ჩემპიონმა **ტატო გრიგალაშვილმა** თავის უმდიდრეს კოლექციას მონტენეგროში გამართული კონტინენტური ფორუმის ვერცხლი შემატა, რადგან ფინალში მოულოდნელად დამარცხდა რუსეთელ თემურ არბუზოვთან.

შეგახსენებთ, რომ მანამდე საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე 21 წლის **გიორგი სარდალაშვილმა** შეაბიჯა, ხოლო **ეთერ ლიპარტელიანს** ტიტულამდე მცირედი დააკლდა და მე-2 ადგილი დაიკავა.

პირადი ტურნირის ბოლო დღეს ოქროს წერტილი დასვა პარიზის ოლიმპიადის ფინალისტმა **ილია სულამანიძემ,** რომელმაც ფინალში რევანში აიღო აზერბაიჯანელ ზელიმ კოცოევთან საფრანგეთის დედაქალაქში ბოლო წამზე დასანანად წაგებული სატიტულო ბრძოლისთვის. ვულოცავთ!



ასე რომ, 2-2 ოქრო-ვერცხლით **ლაშა გუჯეჯიანის** შეგირდებმა გუნდური მე-2 ადგილი დაიკავეს. მონტენეგროს დედაქალაქ პოდგორიცაში დასრულებული ფორუმის აპოთეოზად საქართველოს სპორტის მინისტრ **შალვა გოგოლაძისათვის** ევრო – 2026-ის დროშის გადმოცემა იქცა. როგორც მოგეხსენებათ, გაისად 23-26 აპრილს კონტინენტის პირველობას თბილისი უმასპინძლებს.

## ფეხბურთი

**უკვე გაუწყეთ,** რომ 5 ივნისს საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისში ამხანაგურ შეხვედრაში ფარერების გუნდს უმასპინძლებს. ამ დღეებში გაირკვა, რომ **ვილი სანიოლის** გაწვრთნილი ჭვაროსნები საზაფხულო ფანჯრის მე-2 სპარინგს 8 ივნისს ქუთაისის რამაზ შენგელიას არენაზე კაბო ვერდესთან გამართავენ. საინტერესოა, როგორ გამოგვადგება აფრიკელთა გაკვეთილი სექტემბრის დასაწყისში მუნდიალის შესარჩევ მატჩებში.



**საფრანგეთის ლიგა** – 1. პარი სენ-ჟერმენი – ნიცა 1:3. **ხვიჩა კვარაცხელიამ** შეუცვლელად ითამაშა. ეს ქვეყნის 13-გზის ჩემპიონის პირველი მარცხია ტრიუმფალურ შინაურ სეზონში. ხვალ **ლუის ენრიკეს** გუნდი ლონდონში ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში არსენალს შეხვდება.

**ლიონი-რენი** 4:1. ბოლო ბურთი, ტურნირში უკვე მე-10, ბრძოლაში 76-ე წუთიდან ჩართულმა **გიორგი მიქაუტაძემ** გაიტანა. **სტრასბურგი – სენტ ეტიენი** 3:1. სტუმართაგან პრესტიჟის გოლის ავტორია **ზურიკო დავითაშვილი** (სულ – მე-8).



# ახალი ძველი კაცი

**საქართველოს რაგბის კავშირს 4-წლიანი ვადით ეროვნული ნაკრების რეკორდსმენი (122 მოხვეჭილი კეპი მისი კვართით) და ყოფილი კაპიტანი დავით კაჭარავა გაუძღვება, რომელმაც უკონკურენტო საპრეზიდენტო არჩევნებში ერთსულოვნად ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით გაიმარჯვა.**

ცენტურიონმა ბორჯღალოსანმა ასე ჩამოაყალიბა ძირითადი პრიორიტეტები: 6 ერში ინტეგრაცია, ბავშვთა რაგბი და დიდი 10-ის რეფორმა.

შეგახსენებთ, რომ სრკ-ის ყოფილი თავკაცის – **იოსებ ტყემალაძის** სახელს პოსტკოვიდპანდემიის პერიოდში ტიერ – 1-ის 3 ქვეყანასთან გამარჯვებები უკავშირდება (იტალია, უელსი, იაპონია).

# ფიცარნაგს მიღმაც



**უკვე ინფორმირებულნი ბრძანდებით საქართველოს ძალოსანთა ნაკრების წარმატების შესახებ, რომლის წევრებმაც მოლდოვაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე 9 მედალი მოიპოვეს (5 ვერცხლი და 4 ბრინჯაო).**

აღსანიშნავია, რომ კიშინიოვის ფორუმი ჩვენთვის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტებითაც გახდა გამოსარჩევი. კერძოდ, ლეგენდარულ ჭვაროსან შტანგისტს, ეროვნული ფედერაციის ახალ პრეზიდენტსა და ქვეყნის პარლამენტის დეპუტატს **ლაშა ტალახაძეს** საერთაშორისო ორგანიზაციის პრესტიჟული ჯილდო ამ სახეობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გადაეცა, ხოლო უმაღლესი კატეგორიის არბიტრი **კობა ობოლაშვილი** ჩვენი პირველი თანამემამულე გახდა, ვინც კონტინენტის მსაჯთა კომიტეტში აირჩიეს.

# მიხეილ ყაველაშვილმა აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 33 მსჯავრდადებული პირი შეიწყალა



**საქართველოს** პრეზიდენტმა **მიხეილ ყაველაშვილმა,** მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, 33 მსჯავრდადებული პირი შეიწყალა. ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

**„შეწყალებულ პირებს სასჯელაღსრულების დაწესებულებების დატოვების შემდეგ, შესაძლებლობა ექნებათ, დაუბრუნდნენ ოჯახებს და კვლავ იქცნენ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად“,** – ნათქვამია ინფორმაციაში.

## ქართული კულტურის ცენტრი წმინდა მიწაზე

**საქართველოს** პარლამენტის ინფორმაციით, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ **ნიკოლოზ სამხარაძემ** და კომიტეტის დელეგაციის წევრებმა იესო ქრისტეს ნათლობის ადგილას იორდანიის ხელისუფლების მიერ საქართველოსთვის გადმოცემული მიწის ნაკვეთი მოინახულეს, რომელზეც ქართული კულტურული ცენტრი უნდა აშენდეს.

**„ვიზიტის ფარგლებში საუბრები გვქონდა იორდანიის ხელისუფლებასთან, რომ მაქსიმალურად დაეხმარონ და ხელი შეუწყონ ქართული კულტურული ცენტრის მშენებლობის პროცესს“,** – განაცხადა **ნიკოლოზ სამხარაძემ.**

დელეგაციის წევრებმა ასევე მოინახულეს იორდანიაში არსებული მე-11 საუკუნის ქართული მონასტრის – შიხანის ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრები და ადგილობრივი არქეოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელს სამომავლო გეგმებთან და სამუშაოებთან დაკავშირებით ესაუბრნენ.

# 70-მდე ქვეყანაში „ქვევრის საერთაშორისო დღე“ წესდება



**საქართველოს სომელიეთა ასოციაცია, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ყოველი წლის აპრილის ბოლო კვირა დღეს, აწესებს ქვევრის საერთაშორისო დღეს, რომელიც აღინიშნება საერთაშორისო სომელიეთა ასოციაციის წევრ 68 ქვეყანაში.**

**ამ დღის მიზანია, ქვევრისა და ქართული ღვინის პოპულარიზაცია. ქვევრის საერთაშორისო დღე წელს, საქართველოსთან ერთად, აღინიშნება დიდ ბრიტანეთში, ავსტრიასა და გერმანიაში.**

# მას სამშობლოზე ფიქრი არ შეუწყვეტია...

**დიდად ვწუხვართ მსოფლიოში აღიარებული ქართველი ხელოვანის და დიდი მეცენატის, ბატონი ზურაბ წერეთლის გარდაცვალების გამო.**

**მიუხედავად იმისა, რომ იგი, ძირითადად, მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, სამშობლოზე ფიქრი მას არასოდეს შეუწყვეტია და ცდილობდა, თავისი შესაძლებლობები საქართველოს საკეთილდღეოდ გამოეყენებინა.**

**თბილისში განთავსებული მისი ქანდაკებები, მონუმენტი, – საქართველოს მატიანე, თანამედროვე ხელოვნების მისი მუზეუმი, აფხაზეთის ზღვის სანაპიროს მოზაიკური სცენები... მუდამ ყველას შეახსენებს ბატონი ზურაბის სახელს და შეინახავს მის ხსოვნას. რა თქმა უნდა, მისი ნამუშევრები სხვა ქვეყნებშიც არაერთია, მაგრამ სამშობლოს სხვა სითბო აქვს.**

**აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისათვის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დაამწესოს იგი, ხოლო ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და გულშემატკივართ მომადლოს მშვიდობა და მისთვის ლოცვის ძალა.**



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
ილია მეორე

---

**ღრმა მწუხარებით ვიუწყებით დიდი აკაკის გვარის ბრწყინვალე წარმომადგენლის, მსოფლიოში სახელგანთქმული მხატვარ-მოქანდაკის, ჩვენი მუზეუმის გულითადი მეგობრისა და მეცენატის**

## ზურაბ წერეთლის

**გარდაცვალებას.**

**ვუსამძიმრებთ და თანავუგრძნობთ გარდაცვლილის ოჯახს და ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ამ სწორუპოვარი ხელოვანის სახელი.**

სხვიტორის აკაკი წერეთლის
სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები



# მიხეილ ხუბუტიამ მეგობარი ქალი დაჭრა!

**ბიზნესმენმა და რუსეთში ქართველთა კავშირის თავმჯდომარემ მიხეილ ხუბუტიამ მოსკოვში ყოფილი მეგობარი ქალი, იულია ვანი დაჭრა,** – ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.

მედიის ცნობით, იულია ვანი მრავლობითი მოტეხილობით და უგონო მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს. ხუბუტიამ თავდასხმის დროს, სავარაუდოდ, ნაჯახი ან ჩაქუჩი გამოიყენა. შემთხვევის ადგილზე ნაპოვნია სისხლის კვალიც. პუტინისტი ბიზნესმენი პოლიციის მისვლამდე, დანაშაულის ადგილიდან მიიმალა. იულია ვანი ვიდეოს ავრცელებს და თავდასხმის შესახებ წერს. მისი თქმით, ხუბუტია მას თვეების განმავლობაში ემუქრებოდა.

**„გუშინ ღამით ჩემი მკვლელობა სცადეს. დაახლოებით 23:00 საათზე, მიხეილ ხუბუტია ჩემს სახლში ნაჯახით შემოიჭრა, კიდურებში დამჭრა და თავში დამარტყა. იმ დროს, როდესაც ჩვენ ქალიშვილსა და მის ძიძას მეზობელ ოთახში ეძინათ.**

**2018 წლიდან ურთიერთობაში ვიყავით, გვყავს საერთო ქალიშვილი, 2024 წლის დეკემბერში დავშორდით, რის შემდეგაც ის განუწყვეტლივ მემუქრებოდა, რომ ბავშვს წამართმევდა, ყველა სახის ქონებას ჩამომართმევდა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამომკეტავდა. არაერთხელ გაიმეორა, რომ ბავშვი არ სჭირდებოდა და ამტვრევდა ჩემს პირად ნივთებს.**

**ამჟამად ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ვარ, ხელებსა და ფეხებზე ღრმა ჭრილობებზე ნაკერი დამადეს. გთხოვთ, მაქსიმალურად გაავრცელეთ ეს ამბავი. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი, რომ ის დაუსჯელი არ დარჩეს“.** – წერს **იულია ვანი.**

# თავდასხმა მუხიანში

**მუხიანში კაცს დაზიანებები მიაყენეს. შემთხვევა გამთენიისას მოხდა. კაცს დაზიანება თავის არეში, სავარაუდოდ, ცივი იარაღით აქვს მიყენებული. არსებული ინფორმაციით, შუახნის მამაკაცს ეზოში დახვდნენ.**

მეზობლები ჰყვებიან, რომ გაიგეს ხმა, როგორ ითხოვდა დახმარებას კაცი, რის შემდეგაც სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. დაზარალებული კაცი გამოკითხვაზეა გადაყვანილი. ის ამბობს, რომ დაზიანებები წაქცევის შედეგად მიიღო. საქმეზე გამოძიება 120-ე მუხლით არის დაწყებული.

# ახალი ინფორმაცია ქოლ-ცენტრის თაღლითებზე

**OCCRP-ისა და მისი პარტნიორების მიერ მოპოვებული დოკუმენტებით A.K.Group-ის კიდევ ერთი თანამშრომელი გამოვავლინეთ – გაიცანით „ეშლი მორიარტი.“**




„ეშლი მორიარტი“ – იგივე ქეთევან მალაშხია „სკამერებს“ მსხვერპლების შესახებ ინფორმაციას აწვდის – ვინ რამდენი წლის არის? ვის რამდენი აქვს დანაზოგი, აძლევს მსხვერპლების საბანკო მონაცემებს და აწესრიგებს ფინანსურ დოკუმენტებს.

# 8 წლის ბავშვმა ძალადობას თავი დააღწია

**წალენჯიხის** ერთ-ერთ სოფელში ჯგუფურად არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ოჯახში ძალადობის ბრალდებით დედა და ბებია დააკავეს.

**„ბავშვი შემოვიდა ოთახში, მიშველე ბებიაო... ტალახიანი იყო, სისხლიანი... ძალიან ცუდად იყო ბავშვი. ყველაფერი გავხადე, რომ დავინახე ბავშვს ტანზე ჰქონდა ნაჭრილობები, კინაღამ შევიშალე, გამოვიძახე სასწრაფო. ბავშვმა მითხრა, მცემენო, მამწყვდევენო და გარეთ არ მიშვებენო. მე მითხრა, ოთახი რომ აქვთ ცალკე სიმინდისთვის, იქ მამწვდევენო. შეიძლება საღორეშიც ჰყავდათ დამწვდეული, მე რა ვიცი.“** – ამბობს ბავშვის ბებია სატელევიზიო კომენტარში.

შსს-ს ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ მოზარდზე დედამ და ბებიამ ფიზიკურად იძალადეს. არასრულწლოვანს ძალადობის შედეგად, სხეულის სხვადასხვა არეში მრავლობითი დაზიანება აღენიშნება. ბავშვმა გაქცევა მოახერხა და საშველად მეზობლად მცხოვრებ, მამის მხრიდან დიდ ბებიასთან და ბიძასთან მივიდა.

# ამოიღეს დიდი რაოდენობით ნარკოტიკი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) და საგამოძიებო სამმართველოების თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ნარკოდანაშაულის ბრალდებით მოლდოვის რესპუბლიკის მოქალაქე დააკავეს.**

1985 წელს დაბადებულ ე.გ.-ს ბრალი ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და გასაღების მომზადებაში. დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებულის პირადი, ავტომობილის და დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ასევე, მის მიერ მითითებული ლოკაციიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 91 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ ამოიღეს.



საგამოძიებო მოქმედებების შედეგად პოლიციის მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია ელექტროსასწორი, წებოვანი ლენტები და ფული.



## მერაბ კოკოჩაშვილის საიუბილეო საღამო მარჯანიშვილის თეატრში

**საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მერაბ კოკოჩაშვილის 90 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა,** – ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

საღამოზე კინორეჟისორმა მის განვლილ ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრა. **ნაჩვენები იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი, რომელშიც შესულია ნაწყვეტები მერაბ კოკოჩაშვილის ფილმებიდან „მიხა“, „მწვერვალი“, „დიდი მწვანე ველი“, „ცხელი ზაფხულის 3 დღე“, „ტერცო მონდო“. ასევე, წარმოდგენილი იყო კინორეჟისორის შემოქმედების სხვადასხვა პერიოდის ამსახველი იშვიათი ფოტოები და მისი წინაპრების ფოტოარქივი.**

საიუბილეო საღამოს უძღვებოდა მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე, რომელმაც მისი პირველი კინოროლი მერაბ კოკოჩაშვილის ფილმში „ცხელი ზაფხულის 3 დღე“ შეასრულა.

საღამოს რეჟისორი და ორგანიზატორი იყო კინოსტუდია „ქართული ფილმი“ და სტუდიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ხათუნა ხუნდაძე. 2025 წელი „ქართულმა ფილმმა“ მერაბ კოკოჩაშვილის საიუბილეო წლად გამოაცხადა. 21 მარტს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმში, მერაბ კოკოჩაშვილის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოფენა გაიხსნა, ხოლო უკვდავთა თაღში კინორეჟისორმა და პედაგოგმა საკუთარი ხელის ანაბეჭდი დატოვა.

**კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, წელს გამომცემლობა „ბაკმი“ მერაბ კოკოჩაშვილის ავტობიოგრაფიულ წიგნს გამოსცემს“.**

## 1 მაისს სიღნაღი ვანო სარაჯიშვილის 146 წლის საიუბილეო საღამოზე გვეპატიჟება



**ამ დღით ქალაქი სიღნაღი საქართველოს ბულბულად წოდებული, ქართული სიმღერის უბადლო შემსრულებლის ვანოს ტკბილი ჰანგებით აივსება, იქნება საზეიმო განწყობა, მეწარმეები ხელნაკეთი ნივთების, ღვინის და სხვადასხვა ნაწარმის გამოფენა-გაყიდვას მოაწყობენ, განთავსდება კვების ობიექტები.**

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ღონისძიებების ჩატარების ტრადიცია სიღნაღს ახლო წარსულში ჰქონდა. 1967 წლიდან 2001 წლამდე ყოველ მაისს სიღნაღელები „ვანოობას“ საზეიმოდ აღნიშნავდნენ.

აქ არსებულ მუსიკალურ სასწავლებელში კონცერტი იმართებოდა, რომელსაც სათავეში სანდრო მირიანაშვილი ედგა. სიღნაღს სტუმრობდნენ ოპერის მომღერლები, კონსერვატორიის სტუდენტები, კვარტეტები და ანსამბლები. ეს დღე სიღნაღისთვის ნამდვილი სახალხო დღესასწაული იყო.

**„ჩვენი მიზანია ამ ტრადიციის აღდგენა და უფრო მეტად გაფართოება, რასაც ხელს მნიშვნელოვნად შეუწყობს მემორანდუმი, რომელიც 1 მაისს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სკვერში, მუნიციპალიტეტის მერიასა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას შორის გაფორმდება. ღონისძიება სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის და საქართველოს კულტურის სამინისტროს ერთობლივი მხარდაჭერით განხორციელდება“.**

## დიდი მაესტროს სამტომეული

**ჯანსუღ კახიძის 90 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ვახტანგ კახიძემ გამოსცა ჯანსუღ კახიძის სიმღერების სანოტო კრებული. სამ ტომში შესულია კომპოზიტორის 50 სიმღერის კლავირი.**



სამტომეულის შეძენა შესაძლებელია ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში, მიმდინარე ფესტივალის საკონცერტო დღეებში. 10 მაისიდან კი სანოტო კრებული ხელმისაწვდომი იქნება „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში.

## ელენე ახვლედიანის დაუვიწყარი მხატვრობა

**ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული წიგნ-ალბომის – „ელენე ახვლედიანი: პარიზის პერიოდი ასი წლის შემდეგ, სერია ნიუ“ – პრეზენტაცია და დიდი მხატვრის მიერ პარიზში შექმნილი ფერწერული ნამუშევრების გამოფენა გაიმართა.**





პრეზენტაციას საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე დაესწრო.

წიგნი-ალბომი, რომელიც შესავალი ტექსტის ავტორებმა ხათუნა კიკვაძემ და გამომცემელმა და ალბომის კონცეფციის ავტორმა გიორგი ჯანბერიძემ წარადგინეს, ელენე ახვლედიანის პარიზული პერიოდის, 1924-1927 წლების შემოქმედებას და კოლაროსის თავისუფალ აკადემიაში სწავლისას შექმნილი შიშველი ნატურის – ნიუს ჩანახატებს ეძღვნება.

წიგნ-ალბომის პირველი პრეზენტაცია მიმდინარე წლის 12 აპრილს, პარიზის წიგნის ფესტივალზე, საქართველოს ეროვნულ სტენდთან გაიმართა.

**სახლ-მუზეუმში გახსნილ გამოფენაზე წარმოდგენილია 1924 - 1927 წლებში შექმნილი პარიზის ქალაქური და საქართველოს სხვადასხვა კუთხის პეიზაჟები. გამოიფინა ასევე მხატვრის სახლ-მუზეუმსა და შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალი და თანამედროვე ფერწერისა და გრაფიკის ფონდებში დაცული ნამუშევრები. ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმს რეაბილიტაცია საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ჩაუტარდა.**

## კონკურს-ფესტივალი „ქართული“ რუსთავის ცენტრალურ პარკში

**რუსთავში 26 აპრილს ქორეოგრაფიული კონკურს-ფესტივალი „ქართული“ გაიხსნა.**

რუსთავის მერიის ინფორმაციით, ფესტივალი უკვე მეორედ ტარდება და წელს მასში მონაწილეობს საქართველოს მასშტაბით მოქმედი 26 ქორეოგრაფიული ანსამბლის 3 000-ზე მეტი მოცეკვავე.




ფესტივალის საკონკურსო ნაწილი კი 27 აპრილიდან დაიწყო. კონკურს-ფესტივალი „„ქართული“ რუსთავის მერის ნინო ლაცაბიძის ინიციატივით 2024 წელს დაარსდა. ფესტივალისთვის ექსკლუზიურად დამზადდა ლოგო და მუსიკა.

**„რუსთავის ფესტივალი „ქართული”, წელს საქართველოს მასშტაბით უმასპინძლებს ქორეოგრაფიულ ანსამბლებს. ეს ფესტივალი ჩვენ 2024 წელს ქორეოგრაფიული ანსამბლების ხელშეწყობის მიზნით დავაფუძნეთ. გვსურს, რომ განვითარდნენ და კიდევ უფრო მეტ ახალგაზრდას გადასცენ ჩვენი ტრადიციებისა და ფოლკლორის სიყვარული.**

**26 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით, ჩვენს უნიკალურ პარკში მოწყობილ საფესტივალო სივრცეში ყველას გიწვევთ ყველაზე ქართულ დღეებზე”,** – განაცხადა რუსთავის მერმა **ნინო ლაცაბიძემ.**

რუსთავის ცენტრალურ პარკში მოწყობილ საფესტივალო სივრცეში მოეწყო მეწარმეების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ჩატარდა კალიგრაფიის, კერამიკისა და ხალიჩის ქსოვის მასტერკლასები, მოეწყობა კულინარიული კუთხეები.

**ფესტივალის გახსნის დღეს შედგა საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალხინო“ და „კახაბერი და ხანუმები“. რუსთავის ცენტრალურ პარკში, ტბის ნაპირზე მოწყობილ საფესტივალო სივრცეში საკონკურსო დღეები 5 მაისს გრანდიოზული ღონისძიებით დაიხურება.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგდებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 30 აპრილს**